ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ბადრი ესებუა დააკავეს

გვ.5

ბადრი ესებუა თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც ბანკის ყაჩაღობას აღიარებს გვ.4

ხუთშაბათი, 9 თებერვალი, 2023 №28 (9064) ფასი: 80 თეთრი

შესაძლებელია თუ არა მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა და რა საფრთხის წინაშეა საქართველო?!

გვ.2

გიორგი გაჩეჩილაძე: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამეგობრობამ აფხაზეთში ეშერის ლაბორატორიის საკითხს ყურადღება მიაქციოს“



თურქეთ-სირიის მიწისძვრის დროს დაღუპულთა რაოდენობა 11.200-მდე გაიზარდა

დაიღუპა საქართველოს 3 მოქალაქე გვ.3

გვ.2

„ზურაბიშვილს შეუძლია, სააკაშვილი შეიწყალოს, ტყუილად იმართლებს თავს“

გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს“

„ნაციონალების 100-კაციანი აქციები უკვე სასაცილოც აღარ არის“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ეს ორომტრიალი არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების გამოცდაც არის“

ოთო აბესაძე: „ბაზრის დარეგულირება სასურსათოთი კი არა, სამშენებლო ბიზნესით უნდა დაიწყონ“



გვ.3



გვ.5

ირაკლი ღარიბაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და მის მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა



გვ.7

ისტორიული მომენტი — „მეფე“ მეფე გახდა

გვ.6

მამაკაცი ფეხით გამოეკიდა ავტომობილს, რომლის საჭესთან გონებადაკარგული ქალი იჯდა

გვ.6

მოდელს მკერდში იმპლანტი გაუსკდა

5 სარფში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტი აღიკვეთა

4 „კონფლიქტის გაჭიანურება არ შეიძლება“

5 სისხლიანი გარჩევა სკოლაში — 103-ე სკოლის მეათეკლასელი დაჭრილია

6 უკრაინის უშიშროების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

1993230720223

„ზურაბიშვილს შეუძლია, სააკაშვილი შეიწყალოს, ჭყუილად იმართლებს თავს“

გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, სააკაშვილის თემით დავიწყოთ. როგორც ბევრისთვის, ალბათ თქვენთვისაც მოულოდნელი არ იყო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. თქვენც ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ივანიშვილის პირადი ტყვეა?

– მოდით, ასე ვთქვათ, ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტია ამ შემთხვევაში, რადგან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და ევროკავშირში ინტეგრაცია არ შედის „ქართული ოცნების“ ამოცანაში. როგორც შარშან აგროვებდნენ არგუმენტებს, რატომ არ უნდა მოეცათ კანდიდატის სტატუსი, გახსოვთ, გვარამია დაიჭირეს გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე. ზუსტად იგივე სცენარია ახლა. მიხეილ სააკაშვილის არგათავისუფლება და არგადაყვანა, მიუხედავად მისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის, ევროპელი თუ ამერიკელი პარტნიორების მოწოდებისა, პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა დეკემბერში კვლავ მივიღოთ უარი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე.

– რას იტყვით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე? ის ბოლო პერიოდის პროცესებსა და მიხეილ სააკაშვილის საკითხსაც გამოეხმაურა. რამდენად სწორია პრეზიდენტის აქცენტები?

– სიმართლე გითხრათ, ამ განცხადებაში შინაარსი ცოტა აჭრილია. ყველა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ზოგადად, მე ვფიქრობ, პრეზიდენტის მხრიდან მოსახლეობა არ ელოდება შეგონებებსა და შეფასებებს. ის ხომ არ არის ექსპერტი, რომელიც აფასებს რაღაც მოვლენებს. მისგან ხალხი ელოდება კონკრეტულ ნაბიჯებს. თვითონ რა შეუძლია გააკეთოს ან რა ნაბიჯის გადადგმისთვის არის მზად, რომ ის მძიმე ვითარება, რომელიც ქვეყანაშია, გამოსწორდეს და ნაბიჯი გადავდგათ ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. მთავარი პრობლემა ის არის, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას საკითხში ამ ნაბიჯს ვერ ვხედავთ. თუ ამბობ, რომ ევროინტეგრაციას ხელს უშლის მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა, მაშინ შენს ხელშია შეწყალება.

– პრეზიდენტი აცხადებს, სააკაშვილი რომც შეიწყალოს, მას მაინც საპატიმროში დატოვებენ, რადგან ორ საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

– როგორც ვიცი, ის ორი საქმე წინასწარ პატიმრობასაც კი არ ითვალისწინებს, ანუ არასწორი თავის მართლებაა, პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში.

– რას იტყვით ოპოზიციის გააქტიურებაზე? დაიწყო საპროტესტო აქციები. საუბარია პარლამენტში მუშაობის შეწყვეტაზე. როგორც ცნობილია, „სტრატეგია აღმაშენებელიც“ წყვეტს საპარლამენტო საქმიანობას. რას იტყვით ამ ყველაფერზე, რამდენად შედეგიანი იქნება?

– მე ვფიქრობ, ყველა ტიპის აქტივობას აქვს თავისი მნიშვნელობა და ეს შედეგიანი იქნება. არა მგონია, რომ დღეს ჩასაფრებულ პოზიციაში უნდა ვიყოთ. ახლა ის მომენტია, ვის რის გაკეთებაც შეგვიძლია, მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ. ამიტომ ნებისმიერ ინიციატივას, ნებისმიერ აქტივობას მივესალმები.

პარლამენტს რაც შეეხება, ჩვენ შევწყვიტეთ პარლამენტში მუშაობა ამ ეტაპისთვის.

– გაკრიტიკებენ, ხელისუფლებას კომფორტს უქმნიანო.

– კომფორტია თუ დისკომფორტი, ამას დრო გვიჩვენებს. ეს არის გზავნილი ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რომ ასე მარტივად არ არის საქმე ამ ქვეყანაში.

– დროებითია საპარლამენტო საქმიანობის შეწყვეტა? მანდატების დატოვებამდეც ხომ არ მივა საქმე?

– შევხედოთ. ამას პროცესი და დრო მოიტანს. თვითმიზანი ეს არ უნდა იყოს. ჩვენ დავინახეთ „ქართული ოცნების“ მყისიერი კამპანია. მათ უნდათ, რომ დეკემბერში არმიღებული კანდიდატის სტატუსი ოპოზიციას დააბრალონ. რატომ არ მივიღებთ? იმიტომ, რომ არ ატარებენ იმ რეფორმებს და არ დგამენ იმ ნაბიჯებს, რასაც მათ ევროკავშირი მოუწოდებს. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ჭრილში უნდა დავინახოთ ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯი, რომ ტყუილების გატანის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ „ოცნებას“.

– ოპოზიციის მიერ დაანონსებული ერთობა ერთი წლით გადაიდო. რატომ, რა მოხდა? აღარც 24 თებერვლის აქცია გაიმართება? აქაც ცვლილებებია?

– არა, არანაირი ცვლილება არ არის. 24-ში აქცია იქნება. მოდით, ამ განცხადების სიტყვებში ნუ გამოვეკიდებით ერთმანეთს, გადაიდო თუ გადმოიდო. ეს პროცესია.

– ვისმენთ განცხადებებს, გაერთიანება გადაწყვიტეს და ესეც ვერ მოახერხეს, ერთი წლით გადადესო. ამიტომ მინდა, რომ ამ კითხვებს პასუხი გასცეთ. რა მოხდა?

– კი, გასაგებია. მარტივად რომ ვთქვათ, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და ჩვენმა პარტნიორმა პარტიებმა საკმაოდ დიდი სინერგია ვნახეთ საზოგადოებრივად აქტიურ პირებში. ჩვენ დავაანონსეთ 24 თებერვალი. 120 ძალიან საინტერესო ადამიანია საინიციატივო ჯგუფში. ვფიქრობ, ერთიანობის მიმართულებით მივდივართ. სიმართლე გითხრათ, არც მეგონა, რომ 24 თებერვლის ამდენი თანაინიციატორი იქნებოდა. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ხვალზეგ არჩევნები არ არის, ამიტომ რა დროს სიასა და მსგავს თემაზე ლაპარაკია. სწორედ ხელისუფლებას უნდა, რომ ვილაპარაკოთ რაღაც სიებზე, ადგილების განაწილებაზე, როცა ქვეყანა ამხელა პრობლემებშია. ჩვენ ყველა აქციაში მივიღებთ მონაწილეობას, ნაცმოძრაობის იქნება ეს თუ ჩვენ მიერ ინიცირებული.

– ანუ ხაბეიშვილთან თანამშრომლობას აპირებთ?

– მოდით, ასე ვთქვათ, არა პერსონებთან, არამედ ნაციონალურ მოძრაობასთან თემატურ თანამშრომლობას, რა თქმა უნდა, ვაპირებთ. ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენლები არიან. გვინდა თუ არ გვინდა, ეს მოგვიწევს. არის ეს ევროკავშირისა თუ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი, უკრაინის მხარდაჭერა და ასე შემდეგ, ყველაფერში მივიღებთ მონაწილეობას. მთავარი, ოპოზიციაში რაც უნდა შეწყდეს, ოპოზიციის ოპოზიციონერობაა.

შესაძლებელია თუ არა მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა და რა საფრთხის წინაშეა საქართველო?!

გიორგი გაჩეჩილაძე: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამეგობრობამ აფხაზეთში ეშერის ლაბორატორიის საკითხს ყურადღება მიაქციოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, საშინელი მიწისძვრა მოხდა თურქეთსა და სირიაში, თუმცა მიწისძვრებისაგან არც ჩვენ ვართ დაზღვეული.

– საშინელი ტრაგედიაა. საერთოდ, მიწისძვრები ერთ-ერთ ყველაზე კატასტროფულ ბუნებრივ მოვლენად ითვლება. ძალიან დიდი მსხვერპლი და უამრავი დაზარალებულია, ინფრასტრუქტურა ინგრევა. აღდგენას ათეულობით წელი და დიდი თანხა სჭირდება.

– რაჭის მიწისძვრა ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე დამანგრეველი იყო, 300-მდე ადამიანი დაიღუპა. ზოგადად ჩვენს რეგიონზე რას იტყვით?

– საქართველო სეისმურ რეგიონშია, მიწისძვრები ხშირადაა, ხანდახან კატასტროფულ ხასიათსაც იღებს. ადრე მიწისძვრა გორში მოხდა (მაშინ ჩვენ დაბადებულებიც არ ვიყავით). ძალიან დიდი მსხვერპლი იყო. გორი მთლიანად დაინგრა. თუ გახსოვთ, ასეთი გამონათქვამი იყო, რა გორელივით შუა გზაზე დადიხარო. მიწისძვრის შედეგად შეშინებული ხალხი ცდილობდა, შენობებთან ახლოს არ გაევლო.

შემდეგ კატასტროფული, დამანგრეველი მიწისძვრა რაჭაში მოხდა 1991 წელს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაემთხვა. რაჭის მიწისძვრა ყველაზე ძლიერი იყო კავკასიაში, რომელმაც უდიდესი ნგრევა გამოიწვია. ქალაქი ონი და ამბროლაური, ფაქტობრივად, დაინგრა. ასევე დაინგრა 46 ათასი სახლი. 700 სოფლის მოსახლეობა, 100 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.



1988 წლის დეკემბერში სომხეთში მოხდა სპიტაკის დიდი სიმძლავრის მიწისძვრა და გაცილებით მეტი, 45 ათასი ადამიანი დაიღუპა. ქალაქი სპიტაკი და 48 სოფელი მთლიანად დაინგრა. ნაწილობრივ დაინგრა რამდენიმე ქალაქი – კიროვაკანი და დაახლოებით 400 დასახლებული პუნქტი. დაშავდა 19 ათასი ადამიანი. უსახლკაროდ დარჩა 500 ათასი ადამიანი.

სომხებს ადამიანების გადარჩენაში პირველი საქართველო დაეხმარა, რის გამოც საქართველოს მადლობლები იყვნენ. ახლაც, თურქეთში მომხდარი მიწისძვრის გამო, საქართველოს მთავრობამ სპეციალური მაშველი ბრიგადები, ტექნიკა და აღჭურვილობა გააგზავნა.

ასეთი ურთიერთობა ყოველთვის უნდა გვქონდეს, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს გვერდით უნდა დავუდგეთ. შემდეგ თბილისში ვერტიკალური მიწისძვრა მოხდა.

– ვერტიკალური მიწისძვრა რას ნიშნავს?

– ვერტიკალურობა სწორედ პროვოცირებული მიწისძვრებისთვის არის დამახასიათებელი.

– თქვენ ადრეც მითხარით, რომ რაჭის მიწისძვრა შეიძლებოდა ხელოვნურად პროვოცირებული ყოფილიყო.

– მაშინ ჩვენ გავავრცელეთ ინფორმაცია ტექტონიკური იარაღის გამოყენების შესახებ, რომელსაც მაშინდელი საბჭოთა კავშირი ფლობდა. ტექტონიკური იარაღი ნახევრად საიდუმლო და, საიდუმლო მასალების მიხედვით, აფხაზეთში არსებული ეშერის გასაიდუმლოებული ლაბორატორიის შემადგენელი ნაწილი იყო და რჩება.

მაშინ ჩვენ დავინტერესდით ეშერის ლაბორატორიით. ინფორმაციის მოძიება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, რადგან მაშინდელი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემაც კი არ იცოდა, რა ხდებოდა ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიაზე. რუსული სპეცნაზი იდგა, არავის უშვებდა.

მერე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, აღმოჩნდა, რომ ამ ლაბორატორიაში ძალიან დიდ სიღრმეზე განთავსებული იყო სეისმოლოგიური ლაბორატორია.

როგორც შემდეგ სპეციალისტები ამბობდნენ, ამ სეისმური ლაბორატორიის მიზანი რეგიონში არსებული დედამიწის ქერქის დაძაბულობაზე დაკვირვება იყო. როცა დაძაბულობა კრიტიკულ მომენტს აღწევს, შემდეგ მიწისძვრა ხდება.

გამოითქვა ვერსია, რომ რუსეთში არსებულ ერთ-ერთ სამხედრო პოლიგონზე ტარდებოდა ექსპერიმენტები დისტანციიდან მიწისძვრების პროვოცირებისთვის.

– ე.ი. გარკვეული სიშორიდან მიწისძვრების პროვოცირება ხდებოდა.

– დიახ. ისეთი სქემაც იყო ნაჩვენები, რომ იმ პოლიგონებზე, სადაც ექსპერიმენტები ტარდებოდა, სიღრმეებში გაკეთებული ჰქონდათ შილფები, სადაც დიდი სიმძლავრის მუხტებს (ასაფეთქებელ ნივთიერებებს) დებდნენ, რომელსაც გარკვეული თანმიმდევრობითა და პერიოდულობით, განსაზღვრული სქემის მიხედვით აფეთქებდნენ.

ეს მიწის ქვეშ გარკვეული ტალღის წარმოშობას იწვევდა, რომელიც შემდეგ გარკვეულ წერტილში, სადაც მიწისძვრა მოსალოდნელი იყო, ძლიერი მიწისძვრის პროვოცირებას ბიძგს აძლევდა.

– ანუ რეალურად ასეთი რამ შესაძლებელია.

– ეს რამდენად შეესაბამება რეალობას, სხვა საქმეა, მაგრამ, ასეთი სამხედრო ქვედანაყოფი რომ არსებობდა, ჩემთვის ცნობილია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბაზრის დარეგულირება სასურსათოთი კი არა, სამშენებლო ბიზნესით უნდა დაიწყონ“

ოთო აბესაძე: „თუ პროდუქტებზე ფასები დაიკლებს, ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ხარისხიანის ნაცვლად მდარე ხარისხის საკვებს იყიდით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.

– ოთო, როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივას საკვებ პროდუქტებზე ფასების დაწევასთან დაკავშირებით? მოსახლეობას უხარია, პროდუქტებზე ფასები დაიკლებსო. რეალურად რა ხდება და რამდენად სწორი ეკონომიკური ნაბიჯია?

– პრემიერს პოლიტიკური ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივ წარმოებაზე ან იქ, სადაც თავისი ეკონომიკური გავლენები აქვს. იმ პროდუქტის ფასზე, რომელიც იწარმოება თურქეთში, ევროპაში, ჩინეთში და ასე შემდეგ, პრეზიდენტს არანაირი ბერკეტი არა აქვს, ზეგავლენა მოახდინოს. რა უფლებით უნდა დაუწესოს ბიზნესს მოგების მარჟის განსაზღვრა?! ეს არცერთ ცივილიზებულ სამყაროში ასე არ ხდება. დავუშვათ, ყიდით ავტომობილს ან აქირავებთ ბინას და მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ არ შეიძლება ბინა გააქირავო 100 ლარზე მეტად, ან არ შეიძლება, ავტომობილს მოუგოს ადამიანმა 500 დოლარზე მეტი. ეს რას გამოიწვევს, იცით? აღარ გექნება სურვილი, რომ ამ დაბალ მარჟაზე იმუშაო და ეს ავტომატურად გამოიწვევს ბაზარზე პროდუქციის დეფიციტს. მაგალითად, როცა პრემიუმ კატეგორიის მაკარონს უწესებენ რაღაც ზღვარს, დაბალ მარჟაზე, უბრალოდ, შემომტანს აღარ უღირს შემოტანა და ბაზარზე რჩება მხოლოდ მდარე ხარისხის საქონელი. ეს ყველაფერი პირველ კურსზე ისწავლება!

– არასწორია ასეთი მიდგომა?

– დიახ. ფასი უნდა დასწიოს კონკურენციამ და არა – ხელოვნურმა ჩარევამ. უხილავი ხელის პრინციპით ეკონომიკა ასე მუშაობს. როცა მე არ მაქვს შესაბამისი შემოსავალი, არ ვიყიდი ძვირადღირებულს და ვიყიდი იაფიანს, ანუ უხილავი ხელი მუშაობს პირდაპირი მნიშვნელობით. მე ვდგავარ ალტერნატივის წინაშე, ვიყიდი პრემიუმ ხაზის ან სხვა ტიპის წარმოებისას, ახლა კი ვდგები იმ არჩევანის წინაშე, რომ, დავუშვათ, მე საშუალება გინდ მქონდეს, გინდ არა, ვიყიდი მაინც დაბალი ხარისხისას.

– პრემიერმა მხოლოდ ქართულ პროდუქციაზე იგულისხმა ფასის დაწევა თუ შემოტანილზეც?

– შემოტანილზეა საუბარი. ქართული წარმოება სად არის. წესითა და რიგით, ქართულ წარმოებაზე რომ ვლაპარაკობდეთ, ჯობდა, პრემიერს აქცენტები გაეკეთებინა იმაზე, რომ არაბეთის გაერთიანებულ სამეფოში უფრო იაფი ღირს წყალი, ვიდრე საქართველოში, თუ ვსაუბრობთ კონკურენციაზე და არა ოლიგოპოლიებზე. თუ გვინდა, რომ ვიყოთ ობიექტურები და მართლები, ვილაპარაკოთ ამაზე! აბუ დაბიში წყალი უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში. აი, ეს არის ძალიან დიდი პრობლემა! მეორეც, ბიზნესს ვუწესებთ რაღაცა ზღვარს, ანუ ჩვენ ვკარნახობთ, რამდენი უნდა მოიგოს ფული.

– რამდენად აზიანებს ბიზნესსა და ქვეყნის ეკონომიკას?

– ამით ზიანდება ყველა. ადამიანი ვეღარ მიიღებს შესაბამის შემოსავალს, ზიანდება სახელმწიფოც, იკარგება ხარისხი, მოკლედ, ყველა და ყველაფერი ზიანდება! ზიანდება მომხმარებელი, რომელიც ვერ მიიღებს მაღალი ხარისხის საქონელს. პრემიერს თუ ფასების დაწევა უნდა, ჯობია, იზრუნოს ვალუტის კურსის სტაბილურობაზე, საგადასახადო პოლიტიკაზე და ეს ავტომატურად დასწევს ფასს ქვევით. როდესაც ადამიანი არის იმპორტიორი და ავსებს რეზერვებს, დავუშვათ, სამ თვეში უნდა შევავსო რეზერვები, მე არ ვიცი, რა კურსი დამხვდება სამ თვეში, შესაბამისად, ვვაჭრობ მაქსიმალურად მაღალ თამასაზე, რომ

შემდგომი რეზერვებისთვის მქონდეს ფული. არ არის ეგრე, მარტო იმპორტიორების მტრად გამოყვანა, რომ ისინი გადიან 10%-იან მოგებაზე, ამხელა მოგებაზე არავინ არ გადის. აქ საუბარია საცალო გაყიდვებზე, მარკეტზე, როდესაც ყველა თავისას უმატებს პროდუქტს. ვერ მივხვდი, ამით პრემიერი ვის შეეხო, იმპორტიორს თუ საცალო გაყიდვებს, სადაც ყველა თავის პროცენტს უმატებს. ყველა თავის მოგებაზე მუშაობს, აბა რა! მაკარონი რომ მოაქვს იტალიიდან, იმას სჭირდება თავისი ხარჯები, გზის ხარჯი, ამას ემატება დღგ, იმპორტის, მოგების გადასახადი, საშემოსავლო...

– უამრავ ინსტანციას გადის?

– რა თქმა უნდა. დაახლოებით შვიდ ინსტანციას გადის და მერე მიდის მომხმარებელთან. ნებისმიერი ტიპის იმპორტიორს რა სახის საქონელიც შემოაქვს, შესაძლოა უკიდურესი მაქსიმუმი 5-6% იყოს მოგების, მეტი არ რჩება. ამას პირდაპირ გეუბნებით. ზღაპარია დანარჩენი. ყველა ტარიფი და გადასახადი გაწერილია. ნებისმიერ იმპორტიორს დაურეკეთ და ჰკითხეთ, ასეა თუ არა.

– ზედა ზღვრის დაწესება პრემიერმა მედიკამენტებით დაიწყო.

– მედიკამენტებზე სწორია. ასეც უნდა ყოფილიყო.

– ამ შემთხვევაშიც ამბობდნენ, ეს შეზღუდვა წამლების ხარისხს გააფუჭებსო.

– არა. მედიკამენტების შემთხვევაში შესაძლებელია გარკვეული ექსკლუზივის გაკეთება. მედიკამენტი აბსოლუტურად სხვა რამეა. მედიკამენტები რეგულირდება აბსოლუტურად სხვანაირად. სურსათზე იმავეს ვერ იზამ. ეს ძალიან ელასტიკური ბაზარია.

– როგორ უნდა მივიღოთ პრემიერის ეს ინიციატივა და რამდენად იმუშავებს?

– ეს თავიდან ბოლომდე პოპულიზმია. არც არაფერი არ იქნება. ეს არის ჩვეულებრივი მასაზე გათვლილი პოპულიზმი და საარჩევნო ფანდი – ნახეთ, ჩვენ ვბრუნავთ მოსახლეობაზეო. ზოგადად ასეა, პროდუქტი ღირს იმდენი, რამდენსაც მასში იხდიან. ეს არის 2X2 ოთხი! მე თუ ავტომობილი დამიჯდა 10 ათასი დოლარი, მაგრამ ვყიდი 15 ათას დოლარად, რატომ არ უნდა გავყიდო? ვინ ეკითხება მთავრობას, მე რამდენში გავყიდი ჩემს მანქანას, თუკი ვყიდი და არის კლიენტი?! ბიზნესი მეტი კი არაფერია, მინიმალური ხარჯებით მიიღო მაქსიმალური მოგება. მაშინ დაიწყონ სამშენებლო ბიზნესით, რატომ არ იწყებენ?! იქ ბიზნესში ჩარევაა და აქ არ არის ჩარევა? ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტია.

თუ პროდუქტებზე ფასები დაიკლებს, ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ხარისხიანის ნაცვლად იყიდით მდარე ხარისხის მაკარონსა და შოკოლადს. ეს მოხდება, მეტი არაფერი.

„ნაციონალების 100-კაციანი აქციები უკვე სასაცილოც აღარ არის“

რამაზ საყვარელიძე: „ეს ორომტრიალი არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების გამოცდაც არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ნაციონალური მოძრობის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს არჩილ თალაკვაძე ასე გამოეხმაურა – წინა გინესის რვათვიანი რეკორდი ჯერ არ არის მოხსნილიო. როგორ ფიქრობთ, რამე გამოუვათ?

– არაფერი. ახლა ინგლისის მაგალითი გამახსენდა, როდესაც ციხეში პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს. ბევრი მათგანი გარდაიცვალა კიდეც, მაგრამ მარგარეტ ტეტჩერს ერთი წუთითაც კი არ დაუხევია უკან. სხვათა შორის, მას შემდეგ შეარქვეს „რკინის ლედი“. ეს მაგალითი ცოტა სხვა მნიშვნელობით მოვიყვანე. სახელმწიფოს სჭირდება განცდა, რომ ის სახელმწიფოა, რომ მისი შანტაჟი შეუძლებელია. ეს ორომტრიალი არა მხოლოდ ოპოზიციის, ხელისუფლების გამოცდაც არის. მნიშვნელოვანია არ მხოლოდ ის, თუ როგორ ჩააბარებს ამ გამოცდას ოპოზიცია, არამედ ხელისუფლებაც. შეიძლება, არანაკლებ მნიშვნელოვანიც არის.

– უფრო კონკრეტულად რომ გკითხოთ, საპარლამენტო მანდატების დატოვებაზე იყო საუბარი, მერე უკან დაიხიეს. თქვენი აზრით, რატომ?

– ალბათ გააცნობიერეს, რომ ეს არაფერს ახალს არ მოიტანს. ეს მათ ვერანაირ შედეგზე ვერ გაიყვანს. რამდენიმე დეპუტატმა დატოვა კიდეც მანდატი, მაგრამ რა მერე?! არც არაფერი. ეს უკვე გააკეთეს, როდესაც არჩევნების შემდეგ მანდატებზე თქვეს უარი, რამაც ძალიან ცუდ დღეში ჩააგდო პარტია. დასავლეთი ამაში მათ არ თანაუგრძნობდა, პირიქით, შესვლისკენ მოუწოდებდა. არც დღეს არ იქნება ეს გადაწყვეტილება მოწონებული. ისე მიდის მათი საქმე, რომ არათუ საერთაშორისო მხარდამჭერებსა და პარტნიორებს, არამედ უერთგულეს ამომრჩეველსაც კარგავენ. 100-კაციანი აქციები უკვე სასაცილოც აღარ არის. რაც მოხდა ნაციონალების თავს, ამაზე ის კვლევები მეტყველებს, რომლებიც ენდიაიმ გამოაქვეყნა. მათ შიდა არჩევნებზე დარეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 50 ათასი იყო, 2 პროცენტია. ესეც ბევრ რამეზე მიუთითებს.

– რით ხსნით მათი რეიტინგის ასეთ ვარდნას?

– 20 პროცენტიდან 6 პროცენტამდე დაცემა კატასტროფული შედეგია. სხვათა შორის, საერთოდ არ არის გასაკვირი, სრულიად მოსალოდნელიც კი იყო. ვინც ოდნავ მაინც ერკვევა პოლიტტექნოლოგიაში, პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში, ცალსახაა დამდგარი შედეგების გარდაუვლობა.

– უფრო კონკრეტულად?

– ის 20 პროცენტი პარტიას ძირითადად მიხეილ სააკაშვილის ხარჯზე ჰქონდა. ადამიანები მასზე იყვნენ შეყვარებულები. მას, როგორც კერპს, ისე უყურებდნენ. ახლა რა ხდება? – ამ კერპის განადგურება, გაკამტვერება. სააკაშვილი უკვე აღარ არის მიმზიდველი გმირი. ის ქარიზმა, რომელიც ადამიანებს ხიბლავდა, მასში აღარ არსებობს. თითქოს მეფე შიშველია! მას თავისი თაყვანისმცემლები განუდგნენ. სააკაშვილის ციხიდან გამოხსნის სრულიად გაუაზრებელმა კამპანიამ და პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებმა 20%-იანი პარტია 6%-მდე დაიყვანა.

სრულიად გაუთვლელი და გაუაზრებელი ქმედებები, ქაოსი, შიდადაპირისპირება, რომელიც ყოველდღიურად პარტიიდან მოდის, რა თქმა უნდა, მათ ამომრჩეველზე პირდაპირ უარყოფითად მოქმედებს. ეს ყველაფერი ემსახურება, ერთი მხრივ, სააკაშვილის, როგორც პოლიტიკოსის განადგურებას და, მეორე მხრივ, პარტიის განადგურებას, ისე, რომ ვერც კი აცნობიერებენ, რას აკეთებენ. მთავარი ოპოზიციური პარტია აღარ არსებობს იმ კამპანიის შედეგად, რომელსაც ასე საჯაროდ ვუყურებთ. სააკაშვილის ქარიზმით აღფრთოვანებული ადამიანები უჭერდნენ მხარს ამ პარტიას და არა იმით, რაც ახლა მის თავს ხდება.

– რადგან ამ კვლევებს შევეხეთ, 61% ვერცერთ პოლიტიკურ ძალასთან ვერ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. ეს მოცემულობა რამდენად იძლევა ახალი ძალების გამოჩენის საფუძველს?

– ლოგიკურად უნდა იძლეოდეს, მაგრამ არაფერი არ გაკეთდა საიმისოდ, რომ ახალი ძალები, შესაბამისად, ახალი სახეები, ახალგაზრდები მოვიდნენ პოლიტიკაში. ჩვენთან პოლიტიკა მისი ყველაზე უარესი მხარით არის წარმოდგენილი. პოლიტიკა, როგორც შესაძლებლობების ასპარეზი უკეთესი ქვეყნის შესაქმნელად, თითქოს უარყოფილია. ამიტომ მე ამ კუთხით ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი.

თუ ზოგადად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს შევაფასებთ, მე მაინც მგონია, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის სამზადისი უკვე დაწყებულია. ყველა დაპირისპირებას, ყველა სკანდალს მაინც 2004 წლის არჩევნებამდე მივყავართ, თუმცა მანამდე ალბათ კიდევ არაერთი გადაჯგუფება, დაპირისპირება და სკანდალი მოხდება.

თურქეთ-სირიის მიწისძვრის დროს დაღუპულთა რაოდენობა 11.200-მდე გაიზარდა

დაიღუპა საქართველოს 3 მოქალაქე

თურქეთსა და სირიაში ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 11.200-მდე გაიზარდა.

თურქეთში დაღუპულია, სულ მცირე, 8.574 ადამიანი, ხოლო 50 ათასზე მეტი დაშავდა. ამის შესახებ პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა.

სირიის ოფიციალური პირების განმარტებით, სტიქიის რაიონში 2.530-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

თურქეთის პრეზიდენტი სტიქიის შედეგად დაზარალებულ რეგიონებს ეწვია. ის კაჰრამანმარაშს, ჰატაისა და პაზარჩიკს ეწვევა.

ქვეყანაში ერთკვირიანი გლოვაა გამოცხადებული. ამასთან, ერდოღანმა 10 რეგიონში სამი თვით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

რაც შეეხება სირიას, სხვადასხვა მედიასაშუალების ინფორმაციით, სიცივისა და განადგურებული ინფრასტრუქტურის გამო სამაშველო სამუშაოები გართულებულია. ამას ემატება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი და სამხედრო კონფლიქტი.

* * *

ცნობილი გახდა, რომ თურქეთში მომხდარ მიწისძვრას საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე ემსხვერპლა. გარდაცვლილი ია ჭკადუაა. ინფორმაციას სოციალურ ქსელში მისივე ახლობლები ავრცელებენ. ცხედარი ნანგრევებიდან უკვე ამოიყვანეს.

გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ისევ შეიცვალა. ბოლო მონაცემებით, მსხვერპლთა რიცხვმა სირიასა და თურქეთში 11.000-ს გადააჭარბა. დაშავებულია 40.000-მდე ადამიანი.

თურქეთის ქალაქი ისკენდერუნი დაიტბორა

მიწისძვრის შედეგად თურქეთის ქალაქი ისკენდერუნი დაიტბორა. ინფორმაციას ამის შესახებ თურქული ტელეარხი ავრცელებს.

მიწისძვრის შედეგად, რომელიც თურქეთის 10 პროვინციას შეეხო, ჰათაის პროვინციის ისკენდერუნის ოლქში ზღვის დონე გაიზარდა.

ქალაქ ისკენდერუნში სანაპიროს გასწვრივ მდებარე გზები, მოედნები და შენობები დაიტბორა. რისკების გამო სანაპირო ბულვარზე მდებარე შენობების ევაკუაცია მოხდა.

ისკენდერუნის ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას აფრთხილებს, რომ დაზიანებულ სახლებში არ შევიდნენ.

„კონფლიქტის გაჭიანურება არ შეიძლება“

სამხედრო ექსპერტი: „არსებობს იმის საფრთხე, რომ რუსეთი მთელ ქვეყანას სამხედრო რელსებზე გადაიყვანს“

მარიამ მჭედლიშვილი

ცნობილია, რომ რუსეთი უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეტევისთვის ემზადება. სამზადისში იმყოფება უკრაინაც. სპეციალისტების გათვლით, გერმანული „ლეოპარდები“ ბრძოლის ველზე, სავარაუდოდ, ორ თვეში გამოჩნდება. უკრაინა დასავლეთიდან სხვა დაპირებულ შეიარაღებასაც ელის. რისთვის სჭირდება რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას ახალი იერიში ახლო მომავალში? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ალექსეი მელნიკი.

– უკანასკნელ დღეებში ხშირად ისმის პროგნოზები საოკუპაციო ჯარების ახალი შეტევის თაობაზე. შესაძლებელია თუ არა, რომ პუტინი ემზადებოდეს ომის წლისთავისთვის, ანუ 24 თებერვლისთვის?

– პუტინს ვადები ახრჩობს. მალე წლისთავია. მან ანგარიში უნდა წარმოადგინოს ახალ მიტაცებებზე და ა.შ. გენერალი გერასიმოვი, რომელიც დაინიშნა ამ ე.წ. სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელად, ასევე საგანგებოდაა დაინტერესებული შედეგის ჩვენებით. ომის წლისთავზე შედეგიანი შეტევითი ოპერაცია რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ინტერესს შეესაბამება.

– რესურსების მოგროვება თუ შეძლო ოკუპანტმა? რის გამკეთებელია ახლანდელი ძალებითა და საშუალებებით?

– რუსეთმა ამ დროის განმავლობაში შეტევითი ოპერაციისთვის რესურსები მოაგროვა, თუმცა, საეჭვოა, ეყოფა თუ არა ეს რესურსები მძლავრ შეტევას, მით უმეტეს ისეთს, რომელიც სერიოზულ გავლენას მოახდენდა სიტუაციაზე. ღიად რჩება საკითხი, შეუძლია თუ არა რუსეთს, ხელში ჩაიგდოს სტრატეგიული ინიციატივა ბრძოლის ველზე, რომელიც ბოლო დრომდე უკრაინას ჰქონდა.

უკრაინის არმია იყენებდა შედეგიან ტაქტიკას კონტრშეტევების დროს. ეს იყო მოწინააღმდეგის თავმოყრილი პირადი შემადგენლობის, ტექნიკის, სამეთაურო სტრუქტურების განადგურება. დიდი იერიში ქმნის დამატებით პირობებს ამ ტაქტიკის რეალიზაციისთვის. დიდი მასის ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადასროლა დიდ მანძილზე მარტივად შეუძლებელია. სადღაც უნდა მოხდეს მათი თავმოყრა, მაგალითად, იმ მანძილზე, რომელსაც „ჰაიმარსები“ ან ჰაუბიცები სწვდება.

– უკრაინისათვის განკუთვნილი პირველი „ლეოპარდი“ პოლონეთშია. ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ერთი ტანკია. თუ საუბარია შეტევაზე უახლოეს ხანში, მოასწრებს თუ არა უკრაინის არმია, მოემზადოს მტრის შეტევების მოსაგერიებლად?

– შეიარაღების უმრავლესობა ამ მოკლე ხანში ბრძოლის ველამდე კი არა, უკრაინის საზღვრამდეც ვერ მოაღწევს. თუ ორიენტირებული ვართ 100 ტანკის მიღებაზე, ამის რეალური ვადაა 2-3 თვე. დრო ერთ-ერთია იმ მძლავრი ფაქტორებიდან, რომლებიც მოქმედებს გადაწყვეტილებების მიღებასა და შეტევითი ოპერაციების გეგმების კორექტირებაზე როგორც უკრაინის, ისე რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან.

ერთი მხრივ, რუსეთის სარდლობა ეცდება, მაქსიმალურად გამოიყენოს დროის მონაკვეთი ახლანდელ მდგომარეობასა და მომავალს შორის, როცა უკრაინა მიიღებს სამხედრო დახმარების არსებით პაკეტს, რათა თავისი გეგმები განახორციელოს.

მეორე მხრივ, დროის ფაქტორმა შეიძლება უკრაინაზეც მოახდინოს გავლენა. უკრაინას, სულ ცოტა, შეუძლია, არეულობა შეიტანოს მოწინააღმდეგის შეტევითი ოპერაციის გეგმებში. ამისათვის საჭირო გახდება დამატებითი რეზერვების გამოყენება.

– უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მრჩეველი დენ რაისი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციის ჯარებმა თავიანთი სამხედრო ტექნიკის საწყობები გადმოიტანეს მიტაცებული ტერიტორიების სიღრმეში. მათ უკრაინული შეიარაღების, კერძოდ, ჰაიმარსების ეშინიათ. ეს ჩვენთვის კარგი სიახლეა – მტერი შეტევის წინ საკუთარ საწყობებს მალავს?

– ეს არც კარგი სიახლეა და არც ცუდი. ეს არის იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსები სწავლობენ, ითვალისწინებენ ჰაიმარსის მოქმედების სიშორეს. ეს დროებითი მოვლენაა. რასაკვირველია, ეს გარკვეულად შეაფერხებს რუსებს და დამატებით შეზღუდავს მათ ამბიციებს. ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა საავტომობილო ტექნიკა, რომლის ნაკლებობასაც რუსები სერიოზულად განიცდიან. რკინიგზა შეზღუდვებში ექცევა.

– იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთი და ირანი აპირებენ კამიკაძე დრონების ქარხნის ამუშავებას. გარკვეული დროის შემდეგ „შაჰედებით“ მძლავრ შეტევებს მოგვიწყობენ?

– ეს უკრაინისათვის დიდი საფრთხეა. დრონების ერთობლივი წარმოება მხოლოდ ერთი ასპექტია. რუსეთი ინტენსიურად ზრდის ყველა იმ შეიარაღებას, რომელთა შემუშავებაც შეუძლია. სასანქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად, რუსეთს შეუძლია აწარმოოს შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა. აი, სწორედ ამიტომ არ შეიძლება ამ კონფლიქტის გაჭიანურება. არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი მთელ ქვეყანას გადაიყვანს სამხედრო რელსებზე. მაშინ ძალიან ძნელი იქნება რუსეთის რესურსებსა და უკრაინის (დასავლელი პარტნიორების დახმარებით) რესურსებს შორის შეჯიბრების პროგნოზირება. ამ კონფლიქტის დასრულების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ბრძოლის ველზე რუსეთის სწრაფად დამარცხებაა.

შესაძლებელია თუ არა მიწისძვრის ხელოვნურად გამოწვევა და რა საფრთხის წინაშეა საქართველო?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– აფხაზეთიდან, ეშერის ლაბორატორიიდან, ტერიტორიული ფაქტორის გათვალისწინებით, რაჭაში შესაძლებელი იყო მიწისძვრის პროვოცირება?

– ეშერის ლაბორატორიიდან კი არ ხდებოდა მიწისძვრის გამოწვევა, არამედ ლაბორატორია აწვდიდა ინფორმაციას არა მარტო საქართველოს, არამედ ძალიან დიდ ტერიტორიაზე (რომელიც მოიცავდა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიას) არსებული მდგომარეობის შესახებ.

ლაბორატორიაში აღირიცხებოდა და შეისწავლებოდა დედამიწის ქერქის დაძაბულობის მდგომარეობა. ეშერის ლაბორატორია ახლაც არსებობს. არ ვიცი, მოქმედებს თუ არა, მაგრამ აფხაზეთის ომის დროს, როცა ეშერის ტერიტორიასთან ქართველების მიერ ნატყორცნი ნაღმი ჩამოვარდა, რუსეთმა ეს საქართველოზე შეტევისთვის გამოიყენა.

მაშინ რუსებმა განაცხადეს, რომ საქართველო რუსეთის გასაიდუმლოებული ლაბორატორიის ტერიტორიას შეეხო. ახლა იქ რა ხდება, კაციშვილმა არ იცის. ვფიქრობ, სხვადასხვა დასავლურმა სპეცსამსახურმა ამ ლაბორატორიის შესახებ კარგად იცის. მათ გარკვეული ინფორმაცია ექნებათ.

როგორც ვიცი, ეს ლაბორატორია მოქმედია, არ დახურულა და სიღრმეში ისევ განლაგებულია სეისმოლოგიური აპარატურა, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის დაძაბულობას სხვადასხვა ტერიტორიაზე, აღრიცხავს რიტმების ინტენსივობასა და სიხშირეს ამ უზარმაზარ რეგიონში.

– დედამიწის ქერქში დაძაბულობის ხელოვნური გამოწვევით, აფეთქებებით შეიძლება მუხტი მიმართულ იქნეს კონკრეტული სამიზნე ადგილისკენ?

– დაძაბულობა კონკრეტულ ადგილებში ბუნებრივად იქმნება, მაგრამ მას სჭირდება ბიძგი, რომ იქ დამანგრეველი მიწისძვრა წარმოიშვას. დამატებით იდება გარკვეული ენერგია, რომ მიწისძვრის წარმოშობას მეტი სტიმული მისცეს.

ეშერის ლაბორატორია თავიდანვე იმ მიზნით შეიქმნა, რომ ხმელთაშუა ზღვასა და სხვა ტერიტორიებზე წყალქვეშა ნავების მოძრაობა გაეკონტროლებინათ. წარმოიდგინეთ, რამდენად მგრძნობიარე აპარატურა იდგა, წყალქვეშა ნავების გადაადგილებით გამოწვეულ რხევებსაც კი აღრიცხავდა.

როგორც თქვეს, მერე ფორმირება განიცადა და ტექტონიკური იარაღის შემადგენელ საინფორმაციო ნაწილად იქცა.

– ანუ ტექტონიკური იარაღით ხელოვნურად მიწისძვრების გამოწვევა შესაძლებელია.

– როგორც სპეციალისტები (გეოფიზიკოსები) ამბობდნენ, დისტანციურად მიწისძვრის პროვოცირება შესაძლებელია. ამისთვის რუსეთში სპეციალური ბატალიონებიც კი იყო შექმნილი. მაშინ ასე იყო. ახლა არ ვიცი.

– ანუ კგბ-ს მხრიდან ამგვარი იარაღის ფლობაზე ინფორმაცია გქონდათ?

– ამის თაობაზე ინფორმაციაც გამოვაქვეყნეთ. ძალიან საინტერესო ამბავი მოხდა. ეშერის ლაბორატორიასთან დაკავშირებით ინფორმაცია დაგვიგროვდა, პრესკონფერენცია ჩავატარეთ და განვაცხადეთ, რომ ამაზე ინფორმაციას კიდევ ვაგროვებდით. მაშინ პარლამენტში ვიყავი. არ დამავიწყდება, მოვიდა ერთი ჟურნალისტი, რომელმაც ამასთან დაკავშირებით უზარმაზარი ინფორმაცია მოიტანა.

– ჟურნალისტს ამაზე ინფორმაცია საიდან ჰქონდა.?

– ვფიქრობ, შევარდნაძის ხელისუფლებამ სპეციალურად ასეთი ფორმით ინფორმაცია მოგვაწოდა, ეშერის ლაბორატორიაში რა ხდებოდა. ახლა რუსეთი ისეთ მდგომარეობაშია, მთელ მსოფლიოს ტექტონიკური კი არა, ბირთვული იარაღით ემუქრება. ამიტომ, თუ რამე შესაძლებლობა აქვს რეგიონში დესტაბილიზაციის მოსახდენად, ყველაფერს იკადრებს და ყველაფერს გააკეთებს.

– ატომური იარაღითა და სადმე პოლიგონზე ატომური აფეთქებებით თუ არის შესაძლებელი მიწისძვრების გამოწვევა?

– სწორედ ამ სქემაში (იმ ინფორმაციით, რომელიც ჩვენ გვქონდა) სპეციალიზებულ პოლიგონზე, სადაც ჭადრაკული სისტემით მიწისქვეშ, ძალიან დიდ სიღრმეზე (თეორიულად გათვლილი იყო) უნდა მოთავსებულიყო ასაფეთქებელი გარკვეული სიმძლავრის ატომური მუხტით, რომელიც მაქსიმალურად დიდი სიმძლავრის ტალღის წარმოშობას გამოიწვევდა.

ეს 1990-იან წლებში ტექტონიკურ იარაღთან დაკავშირებით არსებული ერთ-ერთი ვერსია იყო, რომელიც გარკვეულ ინფორმაციებს ეყრდნობოდა.

– „გუგლში“ ამაზე გარკვეული ინფორმაციები არის, მაგრამ სათაურების გარდა არაფერი იხსნება. მაგალითად, 2013 წლის 11 დეკემბრის წერილია, რომ „რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ტექტონიკური იარაღის გამოყენებას გეგმავს“, ან გრიფით საიდუმლო ტექტონიკურ იარაღზე, ოპერაცია „ვეზუმი“, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი ინფორმაციები, ვიდეოები იბლოკება.

– ცხადია, გასაიდუმლოებულია, რადგან ძალიან საშიში იარაღია, რომელმაც შეიძლება კატასტროფული შედეგები მოიტანოს. ბუნებრივია, დაინტერესებული მხარე შეეცდება, გასაიდუმლოოს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამეგობრობამ ეშერის ლაბორატორიის საკითხს ყურადღება მიაქციოს.

– მიწისძვრა თითქმის ერთდროულად მოხდა თურქეთსა და სირიაში. ხომ არ არის დასაშვები, რომ მსოფლიო ქვეყნების ლიდერების უკრაინის ომიდან ყურადღების გადატანის მიზნით რაღაც მოიმოქმედა და სეისმური პროცესები გააქტიურდა? ვიცით, რომ სირიის გარკვეულ ნაწილზე რუსეთს ხელი მიუწვდება.

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ამიტომ არის საჭირო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ აფხაზეთს ყურადღება მიაქციოს, რადგან ეს ერთადერთი ლაბორატორიაა, რომელიც, მაშინდელი ინფორმაციით, ტექტონიკური იარაღის შემადგენელი ნაწილია, ანუ ეს არის ინფორმაციის წყარო გარკვეულ ტერიტორიებზე არსებული დედამიწის ქერქის დაძაბულობის თაობაზე, სადაც შესაძლებელია მიწისძვრის პროვოცირება.

საქართველოდან რუსული სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებისას რუსეთი ყველაფერზე თანახმა იყო, გარდა ეშერის ლაბორატორიისა.

– რუსებსაც უნდოდათ შენარჩუნება და მთელ რეგიონზე, ახლო აღმოსავლეთზე გავლენების მოპოვება.

– ეშერის ლაბორატორია ამ მიზნით იყო შექმნილი, ანუ ძალიან დიდ ტერიტორიებზე, სეისმურ ტალღებზე დაკვირვებისთვის. აკვირდებოდნენ წყალქვეშა ნავების გადაადგილებასა და ხმელეთზე არსებულ დაძაბულობას. ასე რომ, ეს საფრთხილო ამბავია. კარგი იქნება, ამას ყურადღება მიაქციონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც უსაფრთხოებაზე მუშაობენ.

აფხაზეთში სხვა რამეებიც არსებობს, მაგალითად, აფხაზეთის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტი. ბირთვული იარაღი იქ შეიქმნა. მანდ დარჩენილია ძალიან ბევრი რადიოაქტიური ნივთიერება. არ ვიცი, რუსებმა გაიტანეს თუ არა. თავის დროზე დიდი საფრთხის შემცველი იყო.

ბადრი ესებუა თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც ბანკის ყაჩაღობას აღიარებს

– ბადრი ესებუა ბრალს არ აღიარებს, – ამის შესახებ ბრალდებულის ადვოკატმა იოსებ ჯანაშიამ განაცხადა.

ადვოკატმა ქუთაისის ნომერ მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გუშინ ბანკზე თავდამსხმელი მოინახულა.

– ის თავს არ ცნობს დამნაშავედ, არანაირ ბრალს, რაც შეეხება საქართველოს ბანკის დაყაჩაღებას, არ აღიარებს, – განაცხადა ადვოკატმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ძებნილი ბადრი ესებუა სოფელ ჯიხასშკარში გუშინ გამთენიისას დაიკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

7 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში 1.030 ჯარისკაცი დაკარგა

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლები გრძელდება. რუსეთმა შეტევები გააძლიერა. შედეგად ოკუპანტების რიგებში მსხვერპლი გაიზარდა.

მხოლოდ 7 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში 1.030 ჯარისკაცი დაკარგა.

ბრძოლები მიმდინარეობს ლუგანსჩინაზე, კერძოდ, სვატოვო-კრემენოესთან. აქ რუსები ცდილობენ ინიციატივის ხელში აღებას.

სასტიკი ბრძოლებია უგლედართანაც. აქ უკრაინელებმა კონტრშეტევა განახორციელეს და დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს. პასუხად პუტინმა უგლედართან დამატებითი ნაწილები გადაისროლა.

რაც შეეხება ავდეევკას, აქ რუსები შეტევებს არ ახორციელებენ, სამაგიეროდ, ავდეევკის დაბომბვა არ წყდება. ქალაქი მთლიანად ნანგრევებშია.

უკრაინის სამხრეთშიც პოზიციური ბრძოლებია. რუსებს არ გააჩნიათ საკმარისი ძალები საიმისოდ, რომ ზაპოროჟიეს ან ავდეევკის მიმართულებით შეტევა განახორციელონ. სამაგიეროდ, ზაპოროჟიეს, ხერსონის, ნიკოპოლის, ოდესის, ნიკოლაევის დაბომბვები გრძელდება. ოდესაში უკვე რამდენიმე დღეა, არ არის შუქი. უკრაინელები მტერს ვალში არ რჩებიან. ნოვაია კახოვკასთან ზუსტი დარტყმით განადგურებულია რუსული ბაზა. იქ მყოფი ყველა რუსი ოკუპანტი დაიღუპა.

რუსეთის დანაკარგები უკრაინაში

რუსები უკრაინაში შეტევებს განაგრძობენ. ამან ოკუპანტების რიგებში მსხვერპლი გაზარდა. მხოლოდ გასული დღის განმავლობაში განადგურებულია 1030 ოკუპანტი და 25 ტანკი.

სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსების დანაკარგები შედეგია:

ტანკები – 3.245; არტილერია – 2.232; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 227; თვითმფრინავები – 294; ვერტმფრენები – 284.

განადგურებულია 134.100 ოკუპანტი.

ბადრი ესებუა დააკავეს

არაოფიციალური ინფორმაციით, ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებული ბადრი ესებუა დააკავეს.

ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში კომენტარი ჯერჯერობით არ კეთდება, თუმცა, როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ ხდება ცნობილი, ბადრი ესებუა ზუგდიდში აიყვანეს.

ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ შენობაში შეიარაღებული ბადრი ესებუა 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა. მას



მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ბადრი ესებუას მამის თქმით, ოჯახი, სადაც ბადრი ესებუა დააკავეს, მათი ნათესავია. მამისთვის გაურკვეველია, რატომ აირჩია მისმა შვილმა თავშესაფრად ომიანე ჯიქიას სახლი.

– დაკავებულია. თქვენც ძალიან კარგად იცით, სად დააკავეს. მეტი არაფერი ვიცი. ომიანე ჯიქია ჩვენი ნათესავია, მეუღლის ბიძაა, მაგრამ მათ ოჯახთან არანაირი კონტაქტი არ მქონია. ხუთი წლის წინ ვიყავი ოჯახში პანაშვიდზე. თუ რატომ აირჩია ბადრიმ ის ოჯახი, არც ეს ვიცი. ბადრისთანაც ამ ხნის განმავლობაში არანაირი კონტაქტი არ მქონია, თუ დამიჯერებთ. მას შემდეგ, რაც ის შემთხვევა მოხდა, ჩემი შვილი არ მინახავს, – განაცხადა ტარიელ ესებუამ.

ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბადრი ესებუას საქმეზე სასამართლო პროცესი 20 თებერვალს, 15:00 საათზე გაიმართება. ამის შესახებ „ინტერპრესნი-

უსს“ დაკავებულის ადვოკატმა იოსებ ჯანაშიამ განუცხადა. მისი თქმით, საქმეს ზუგდიდის რაიონული სასამართლო განიხილავს.

– სასამართლო პროცესი 20 თებერვალს იყო ჩანიშნული და გაგრძელდება ჩვეულებრივად. ჯერ არ შევხვედრივარ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. დღის მეორე ნახევარში ვგეგმავ მის ნახვას და მეტი დეტალი შეხვედრის დასრულების შემდეგ მეცოდინება. ახლა ის ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გადაყვანილი, – განაცხადა იოსებ ესებუამ.

სისხლიანი გარჩევა სკოლაში – 103-ე სკოლის მეათეკლასელი დაჭრილია

ჯგუფური გარჩევა სკოლის მოსწავლეებს შორის ფონიჭალაში – დაჭრილია 103-ე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე.

მოზარდს დანა ფეხის არეში სამჯერ ჩაარტყეს. არასრულწლოვანი რეანიმაციაშია. სასტიკად არის ნაცემი კიდევ ერთი მოსწავლე. მას დაზიანებები ჯგუფური ჩხუბის დროს მიაყენეს. მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ჩხუბში მონაწილე ერთი არასრულწლოვანი დაკავებულია.

მოზარდი წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

ამ დრომდე უცნობია, რა გახდა სისხლიანი დაპირისპირების მოტივი.

საპატრულო პოლიციის მანქანა „დრიფტის“ დროს ავარიაში მოყვა

კასპში საპატრულო პოლიციის მანქანა „დრიფტის“ დროს ავარიაში მოყვა. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

„ტვ მონიტორინგის“ ცნობით, ავტომობილი, რომელიც პოლიციის ეკიპაჟის ავტომობილს ეჯიბრებოდა, მოცურდა და ოპერატიულ მანქანას შეეჯახა.

ფაქტის დამალვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ცადეს, თუმცა ჟურნალისტებმა დამტვრეული ავტომობილის კადრების გადაღება მაინც შეძლეს.

შსს-ში დეტალებს არ აკონკრეტებენ. უცნობია მუხლიც, რომლითაც უწყებამ გამოძიება დაიწყო.

სარფში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტი აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის მ.ჯ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი (SUBOXONE) – 31 აბი აღმოაჩინეს.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და მის მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან და მის მოადგილეებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრაზე, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროექტები და სამომავლო გეგმები განიხილეს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030-ის“ იმპლემენტაციის დინამიკას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და მოადგილეებმა მთავრობის მეთაურს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია ყველა იმ ძირითადი პროგრამისა და პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე იგეგმება.

შეხვედრისას ხაზი გაესვა 1 მილიარდი ლარის ღირებულების უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის მნიშვნელობას, რომელიც 800 სკოლის მშენებლობა/რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის განხორციელებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალი საგანმანათლებლო რესურსებით 230. 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება. რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც 2023 წელს ორი მილიარდ ოცდაათი მილიონ რვაასი ათასი (2,030.8 მლნ) ლარით განისაზღვრა და 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს 345,9 მლნ ლარით აღემატება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტი განათლებისა და მეცნიერების სფეროში უკვე მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისა და მიმდინარე კომპლექსური რეფორმის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელების საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს სკოლამდელი განათლების საფეხურიდანვე სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესებისთვის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში აქტიურად გაგრძელდება ბილინგვური განათლების დანერგვა.

2023 წელს ავტორიზაციის პროცესი 400-მდე სკოლაში განხორციელდება.

რეფორმის მიმდინარეობისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სკოლის დირექტორთა მხარდაჭერაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ დაიწყო და 2023 წელს დასრულდება სკოლის დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი.



შეხვედრაზე საუბარი შეეხო სკოლებში თანამედროვე სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, 2023 წელს არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელება იგეგმება.

შეხვედრის მონაწილეებმა პროფესიულ განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხზე იმსჯელეს. მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს აქტიურად გრძელდება მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიმართულებით თბილისსა და შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბორჯომში, ბათუმში, ახალქალაქში, ბოლნისში, ამბროლაურში, ქობულეთში, თელავში, მესტიაში, ფოთსა და ხობში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს საქართველოს 30 საჯარო სკოლაში შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამჟამად პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება 2023 წელს 20% იქნება.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს განათლების სისტემის მეგაპროექტი – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახლდათ. აღინიშნა, რომ 2023 წელს გაგრძელდება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარება როგორც აკადემიური პროგრამების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების გაფართოების კუთხით.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ბიძინა ივანიშვილია. სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა მსოფლიო მასშტაბის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სივრცე.

შეხვედრის მონაწილეების შეფასებით, უნივერსიტეტის მაღალ სტანდარტსა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხს განაპირობებს ის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ დარგში აკადემიური პროგრამების შექმნას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ამ ეტაპზე მოქმედი პროგრამები მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების ანალოგს წარმოადგენს. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა აქტიურად გრძელდება და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეტაპობრივად ჩნდება ახალი აკადემიური პროგრამები განათლების სამივე საფეხურისათვის.

2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საშუალო საკონკურსო ქულის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი რეიტინგში პირველია.

მნიშვნელოვანია, რომ ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე შენდება ადრონული თერაპიის ცენტრი, სადაც ონკოლოგიისა და პროტონული თერაპიის მიმართულებით კვლევების წარმოების პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ჩაერთვებიან, რომლებიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევით პროცესში და ქართველ კოლეგებთან ერთად მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტებს განახორციელებენ.

სამუშაო თათბირზე მონაწილეებმა უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით დაგეგმილი პროექტები განიხილეს.

საუბრის ერთ-ერთ მთავარ თემას სტუდენტური საცხოვრებლების საკითხი წარმოადგენდა.

გრძელდება მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე.

რაც შეეხება მეცნიერების განვითარების მხარდაჭერას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია, ხელი შეუწყოს შედეგზე ორიენტირებული საუკეთესო ხარისხის კვლევების წარმოებას. 2023 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში ინტეგრირებული 42 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სახელფასო ფონდი 30%-ით გაიზარდა.

გრძელდება ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამის ხელშეწყობა. შეიქმნება ახალი და, ასევე, გაგრძელდება უკვე არსებული ქართველოლოგიის პროგრამები მსოფლიოს წამყვან, მათ შორის ბერნის, ციურიხისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და მის მოადგილეებს ახალი დავალებები მისცა.

საერთაშორისო

ომმა უკვე რუსეთსაც მიუკაკუნა

რუსეთ-უკრაინის ომმა უკვე რუსეთსაც მიუკაკუნა. უკრაინელები სისტემატურად ბომბავენ მეზობელ ოლქებს კურსკსა და ვორონეჟს. რუსეთის თავდაცვის მინისტრ შოიგუს განცხადებით, რეალურია საფრთხე იმისა, რომ დაიბომბება როსტოვი, ვოლგოგრადი, სარატოვი და თავად მოსკოვიც.

– დასავლეთმა, უწინარეს ყოვლისა აშშ-მ, უკრაინას სათანადო შეიარაღება გადასცა! პროცესი არ დასრულებულა, მაგრამ საფრთხე რეალურია, – ამბობს შოიგუ. მოსკოვში სახლების სახურავებზე უკვე საზენიტო დანადგარები გამოჩნდა. მთელ რუსეთში მიმდინარეობს ბომბებისაგან თავშესაფრების აღდგენა.

– ახალი თავშესაფრების ასაშენებლად არც ფულია და არც დრო, ძველები კი ავარიულ მდგომარეობაშია. ასე რომ, დაბომბვის შემთხვევაში, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, – აღიარებს ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვი.

რუსეთის მთავრობა ამას მუქარებით პასუხობს: – რუსეთზე ნებისმიერი სარაკეტო დარტყმის პასუხად მთელი ევროპა დაიბომბება, – აცხადებს დიქტატორი პუტინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უკრაინის უშიშროების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

უკრაინის უშიშროების სამსახურს (სბუ) ახალი უფროსი ჰყავს. ეს პოსტი დაიკავა გენერალმა ვასილი მალიუკმა (დაბ. 1983 წელს). მან ამ პოსტზე პრეზიდენტ ზელენსკის ბავშვობის მეგობარი ბაკანოვი შეცვალა.

ვასილი მალიუკი კადრის ჩეკისტია. მან დაამთავრა უკრაინის უშიშროების აკადემია. ორგანოებში 11 წელი იმსახურა. კარიერა უბრალო ოპერრწმუნებულით დაიწყო და ავიდა უშიშროების სამსახურში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსამდე.

მის კარიერულ წინსვლაზე ძალზე იმოქმედა დონბასში მიმდინარე ომში მონაწილეობამ. ამის გამო ის დააწინაურეს და უშიშროების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გახდა. ამ პოსტზე დიდხანს არ გაჩერებულა. მალე მალიუკი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიყვანეს. რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციის დაწყების შემდეგ მალიუკი კვლავ უშიშროებაში ბრუნდება და ისევ თავისი შეფის პირველი მოადგილის პოსტს იკავებს.

მალე უშიშროების მაშინდელი უფროსი ბაკანოვი მორიგ სკანდალში გაეხვია და იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მალიუკი, როგორც მისი პირველი მოადგილე, უშიშროების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ასეთი აბრევიატურა კარგა ხანს გრძელდებოდა. ზელენსკი თავს იკავებდა უშიშროების უფროსად მალიუკის დანიშვნისაგან. მიზეზი ღირსების რევოლუციის დროს მისი აქტივისტების მიმართ გამოთქმული უცენზურო სიტყვები იყო. ამავე დროს მალიუკის კანდიდატურას აქტიურად ლობირებდა პრეზიდენტის ოფისის უფროსის მოადგილე ტატაროვი. სწორედ მისმა პროტექციამ გამოიღო შედეგი და მალიუკი უშიშროების სამსახურის შეფი გახდა.

ჯერ კიდევ უშიშროების უფროსის მოვალეობის შესრულებისას მალიუკმა თავი გამოიჩინა, როგორც მღვდლის ანაფორას ამოფარებული ჯაშუშების მამხილებელმა. საუბარია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მღვდლებზე. სწორედ მალიუკის ინიციატივით რამდენიმე მღვდელი დააპატიმრეს. ჩხრეკისას მათ აღმოაჩნდათ პრორუსული ლიტერატურა და პროკლამაციები. მათში მორწმუნეებს უკრაინის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

ამას გარდა, მალიუკმა, როგორც უშიშროების შეფის მოვალეობის შემსრულებელმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ყირიმის ხიდის აფეთქებაში. ყოველივე ამან, პლუს ტატაროვის პროტექციამ, შედეგი გამოიღო. უშიშროების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ოფიციალურად გახდა უშიშროების შეფი.

ამრიგად, სბუ-ს სათავეში ჩაუდგა კადრის ჩეკისტი, კაცი, რომელიც უშიშროებაში გაიზარდა, რომელსაც საბრძოლო მოქმედებების გამოცდილება გააჩნია. მალიუკმა თავი გამოიჩინა რუსეთის აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. მომავალი გვიჩვენებს, თუ რა უნარს გამოიჩენს ის უშიშროების შეფის პოსტზე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკელი ბიზნესმენები გააფრთხილა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკელი ბიზნესმენები გააფრთხილა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომს აწარმოებს და, შესაბამისად, ყველა, ვინც რუსეთთან ბიზნესურთიერთობებს მოინდომებს, ამ ომს აფინანსებს.

გერმანიის თავდაცვის მინისტრი კიევში ჩავიდა

გერმანიის თავდაცვის მინისტრი პისტორიუსი კიევში ჩავიდა. ის თავის უკრაინელ კოლეგა რეზნიკოვს შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრა პრეზიდენტ ზელენსკისთანაც.

უკრაინის ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრისას განიხილება უკრაინისათვის ტანკების, საბრძოლო მანქანებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის მიწოდების საკითხები.

ოკუპანტებმა ბახმუტის ალყაში მოქცევა ვერ შეძლეს

რუსი ოკუპანტები ბახმუტზე შეტევებს განაგრძობენ, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაოა. უკრაინელებმა შეინარჩუნეს სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი კრასნაია გორა. მისი აღების გარეშე კი ბახმუტთან რკალი ვერ შეიკვრება.

ბახმუტის ალყაში მოქცევა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს.

უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტებმა ბახმუტ-კონსტანტინოვკის სტრატეგიული ტრასიდან უკან დაიხიეს. მიუხედავად ამისა, თავად ტრასა ჯერჯერობით მტრის ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ რჩება. მისი გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ უკრაინელები სოფელ ჩასოვი იარზე გამავალ გზას იყენებენ.

– ბახმუტში გამაგრებული ჩვენი მეომრების მომარაგება შეუფერხებლად მიმდინარეობს, – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

რუსი ოკუპანტები ბახმუტთან უზარმაზარ დანაკარგს განიცდიან. ამან რუსეთის პირველ პირებს შორის ნამდვილი ისტერიკა გამოიწვია. დიქტატორმა პუტინმა პირდაპირ განაცხადა ამის თაობაზე.

გაცილებით შორს წავიდა კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ შეფი პრიგოჟინი. მან თქვა, რომ უკრაინელი ერი, როგორც ასეთი, უნდა ამოწყდეს. ეს პროგრამა თურმე ნელა და თანმიმდევრულად ხორციელდება.

– ბატონ ზელენსკის ვთხოვ, ბახმუტიდან თავისი ბანდები არ გაიყვანოს! ეს ბანდები ჩვენი პროგრამის განხორციელებას აადვილებენ! – თქვა პრიგოჟინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალაქიდან-ქალაქი

მოდელს მკერდში იმპლანტი გაუსკდა

30 წლის კანადელ მოდელ მერი მაგდალენს, რომელმაც უამრავი ფული დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებში, მკერდის იმპლანტი გაუსკდა.

ამ დროისთვის იმპლანტის გახეთქვის მიზეზი უცნობია. თავად მაგდალენის თქმით, მას იმპლანტის გახეთქვის დროს ტკივილი არ უგრძნია და რაც მოხდა მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, როდესაც ტკაცუნის ხმა გაიგონა. მოდელის ზოგიერთი თაყვანისმცემელი კი თვლის, რომ მას მკერდში იმპლანტი იმ გამაფართოებლის გამო გაუსკდა, რომლითაც ის თავად ავსებდა იმპლანტს საკუთარ მკერდში.

თავად მაგდალენი თვლის, რომ ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ დროა საკუთარ სხეულს ის ბუნებრივი სახე დაუბრუნოს, რომელიც მას ათ წელზე მეტი ხნის წინ ჰქონდა. უახლოეს დროში მოდელი აპირებს გაიკეთოს ოპერაცია მკერდიდან იმპლანტების მოსაშორებლად.

– გადავწყვიტე, ბუნებრივი ფორმა დავუბრუნო არა მხოლოდ ჩემ მკერდს, არამედ სხეულის სხვადასხვა ნაწილებსაც, – განაცხადა კანადელმა მოდელმა.

მაგდალენმა პირველად პლასტიკური ოპერაცია 21 წლის ასაკში გაიკეთა და მას შემდეგ კიდევ მრავალი სხვადასხვა პროცედურები ჩაიტარა, მათ შორის ცხვირის, წარბების კორექცია, ნიკაპის ქვედა ნაწილის ლიპოსაქცია და კიდევ სხვა მრავალი.

ამ უამრავი ოპერაციის შედეგად მოდელს 2022 წლის აპრილში ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. მაშინ მან განაცხადა, რომ პირის დახურვას ვეღარ ახერხებდა ტუჩებზე ჩატარებული მრავალი ოპერაციიდან გამომდინარე, ხოლო იმავე წლის სექტემბერში განაცხადა, რომ უზარმაზარი მკერდის გამო მხოლოდ ინვალიდის ეტლით ახერხებდა გადაადგილებას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცი ფეხით გამოეკიდა ავტომობილს, რომლის საჭესთან გონებადაკარგული ქალი იჯდა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ლორენსის მკვიდრი ფეხით დაეწია ავტომობილს და გადაარჩინა გონებადაკარგული ქალი მძღოლი.

25 წლის ადოლფო მოლინა წარმოშობით დომინიკანელია, თუმცა უკვე ხუთი წელია თავის ოჯახთან ერთად ქალაქ ლორენსში ცხოვრობს. ის უბერის მძღოლად მუშაობს. მორიგი მგზავრობის დროს მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ გზაზე ერთი ავტომობილი უცნაური ტრაექტორიით მოძრაობდა და ივარაუდა, რომ მის საჭესთან მჯდომი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მამაკაცი საკუთარი ავტომობილიდან გადახტა და რაც კი შეეძლო, ყველაფერი იღონა მძღოლის გადასარჩენად. მან გზის ოთხი ზოლი გადაირბინა და შეეცადა მოძრავ მანქანას დასწეოდა. ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, როგორ ცდილობს მამაკაცი მოძრავი ლურჯი ავტომობილის კარის გაღებას და ამავე დროს გარშემომყოფებისგან დახმარებას ითხოვს.

მის დასახმარებლად კიდევ ერთი ავტომობილი გაჩერდა, თუმცა ეს ნაწილი ვიდეოს კადრში არ მოხვედრილა. რამდენიმე მცდელობის შემდეგ მათ მანქანის გაჩერება და ქალის გადარჩენა მოახერხეს.

ამ საქციელისთვის ბოსტონში დომინიკის საკონსულომ მოლინა დააჯილდოვა. ასევე, მის წახალისებას აპირებს ქალაქ ლორენსის მერიაც.

დედამ თავისი ხუთი წლის შვილი პუმას ბრჭყალებიდან გამოსტაცა

ამერიკის კალიფორნიის შტატის სან-მატეოს ოლქში დედამ თავისი ხუთი წლის შვილი სეირნობის დროს პუმას თავდასხმას გადაარჩინა.

საღამოს ხუთი წლის ბიჭი, სახელად ჯეკი, დედასთან და პაპასთან ერთად სეირნობდა.

– ბავშვი წინ გაიქცა და თავისი მოულოდნელი გამოჩენით გზაზე გამოსული პუმა დააფრთხო. საბედნიეროდ ის ახალგაზრდა ცხოველი აღმოჩნდა, – განაცხადა ბიჭის დეიდამ ემი ვაგნერმა.

მტაცებელმა ბავშვი მიწაზე დააგდო და კბენა დაუწყო. ბიჭის დედამ დასახმარებლად მიირბინა და პუმა იძულებული გახდა მსხვერპლისთვის თავი დაენებებინა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად ბიჭმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო. ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა მალევე სახლში გაუშვეს. ადგილობრივების თქმით, მათ იმ შემოგარენში პუმა ადრეც შეუნიშნავთ, თუმცა ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ პუმა იშვიათად ესხმის თავს ადამიანებს. ბავშვის ოჯახი კი ბედნიერია იმით, რომ ყველაფერი საბოლოოდ კარგად დასრულდა.

ბუნების დაცვის სამსახურის სპეციალისტებმა ბავშვზე თავდამსხმელი მტაცებლის ძებნის ოპერაცია დაიწყეს, რათა ის დაიჭირონ, აღნიშნულ ტერიტორიას გაარიდონ და ამით სხვა ადამიანებზე თავდასხმის შესაძლებლობა თავიდან აიცილონ.

ნიანგის თავდასხმას მეთევზე ემსხვერპლა

მალაიზიაში უკვე რამდენიმე დღეა, ეძებენ მამაკაცს, რომელიც წყლის სიღრმეში ნიანგმა ჩაითრია და დაგლიჯა.

36 წლის ფილიპინების მოქალაქე, სახელად მარვინ სუსა დეკილია, რომელიც კუნძულ ბორნეოზე, ქალაქ სამპორნას რაიონში მდებარე ერთ-ერთ ფერმაში მუშაობდა, 29 იანვარს დაიღუპა. ის რამდენიმე ახლობელთან ერთად მდინარე სუნგაი პეგაგაუზე თევზაობდა.

– მამაკაცი გრძელი ჯოხის დახმარებით ცდილობდა ნემსკავის გათავისუფლებას, როდესაც მას თავს ნიანგი დაესხა და წყლის სიღრმეში ჩაითრია, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის უფროსმა სუპტ მოხდ ფარხან ლი აბდულამ.

უკვე რამდენიმე დღეა, მეთევზის პოვნა ვერ ხერხდება. 30 იანვარს მისი სხეული წყლის ზედაპირზე მოტივტივე შენიშნეს, მაგრამ, როდესაც მასთან მიახლოება ცადეს, ნიანგმა მას პირი სტაცა და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. სამძებრო სამუშაოებში მონაწილეობენ მეხანძრეები, ზღვის პოლიცია და ეგერები, ხელისუფლება კი ადგილობრივებს მდინარის მახლობლად მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ჯემალ ღაღანიძე უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

საოცარი კეთილგანწყობით იყო გამსჭვალული კოლეგების მიმართ. კიდევ უფრო ხაზგასმით აკეთებდა ამას სხვა თეატრების წარმომადგენელთათვის. არ ეზარებოდა, თუ თავისუფალი იყო, მისულიყო სხვა თეატრებში პრემიერებზე, საღამოებზე, იუბილეებზე და საკუთარი კეთილგანწყობა და სიკეთე მრავალთათვის გადაედო. მოზარდ მაყურებელთა თეატრის უერთგულესი მეგობარი იყო, არაერთხელ გვსტუმრობდა და საკუთარ აზრს გვიზიარებდა ხოლმე.

ეპოქა დამთავრდაო და უკანასკნელი მოჰიკანიო. დიახ, სათეატრო ურთიერთობების სხვა კულტურა და სხვა ეთიკა ჰქონდათ ძველებს, ღმერთმა ქნას, შემდეგ თაობებსაც გაეზიარებინოთ მათი გამოცდილება.

ბატონი ჯემალის სახელი კი მუდამ იკიაფებს, ვიდრე იარსებებს რუსთაველის ეროვნული თეატრი და საერთოდაც – ქართული თეატრი.

დიდი მადლობა იმისათვის, რაც შექმენით, რა გამოცდილებაც გაგვიზიარეთ, რაც დატოვეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ბილ ბიმონტი: „საქართველოს 10 ქულით შევაფასებდი“

მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი სერ ბილ ბიმონტი და მისი გუნდი ქართულ რაგბის საინტერესო მომავალს ჰპირდებიან.

ბიმონტი ორჯერ არის საქართველოში ნაყოფი და ქართულ რაგბიზე მეტ-ნაკლები ინფორმაცია აქვს. მსოფლიო რაგბის შეფი სწორედ ამის შესახებ საუბრობს.

ბილ ბიმონტი:

– საქართველოს რაგბის კავშირს სწორი ინვესტიციების განხორციელებაში ვეხმარებით. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ რაგბის განვითარებას, ვიხილოთ რაგბიში ჩართული მეტი გოგონა და ბიჭი, მეტი ქალი და კაცი. საქართველოს რაგბის კავშირს საკუთარი ხედვა და მიზნები აქვს. მათ იციან, საით მიდიან და მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო რაგბისთან თანამშრომლობით დასახულ მიზნებს მიაღწიონ. საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის მიერ შესრულებული სამუშაო შთამბეჭდავია და 10-ქულიანი სისტემით 10 ქულას მივცემდი. მათ ზუსტად იციან, რის გაკეთება უნდათ.

მსოფლიო რაგბის პრეზიდენტს სასკოლო რაგბის პროექტი – „ჩაერთე რაგბიში“ ძალიან მოსწონს.

– ეს პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში რაგბის განვითარებას ხელს აუცილებლად შეუწყობს. გოგონებსა და ბიჭებს რაგბის უკეთესად გაგებასა და დაფასებაში დაეხმარება. სკოლაში რაგბის სწავლება და თამაში არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც რაგბი ბავშვებისთვის ბუნებრივი და ახლობელი თამაში გახდება. როდესაც უკვე დიდ რაგბის ნახავენ, ეს მათთვის უცნობი და გაუგებარი თამაში აღარ იქნება. მხოლოდ ადრეულ ასაკში თამაშით არის შესაძლებელი მისი კარგად გაგება და ტკბობა. ჩვენ გვინდა, რომ გვყავდეს არა მხოლოდ ძლიერი ეროვნული გუნდი, არამედ ძლიერი საზოგადოება, რომელსაც უყვარს რაგბი. რაგბი სიამოვნებაა, გუნდური თამაშია, მეგობრობაა.

ბიმონტი რაგბიში სახელმწიფოს ჩართულობაზეც საუბრობს. მისი თქმით, მსოფლიო რაგბი მთავრობის მხარდაჭერას დიდ ყურადღებას აქცევს, რადგან ეს სტაბილურობის გარანტია და ამ კუთხით საქართველოში ყველაფერი წესრიგში აქვს.

ბილ ბიმონტი

– სახელმწიფო და კერძო სექტორის მხარდაჭერა საერთო საქმეს ემსახურება. ჩვენ ნანახი გვაქვს თქვენი ბიუჯეტი და საკმაოდ შთამბეჭდავია. ფულს ბევრი კარგი რამის გაკეთება შეუძლია და ფულადი ინვესტიციები რაგბიში ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ სახელმწიფო ძალიან გეხმარებათ და ეს მშვენიერია. საქართველოში ყოფნისას შევხვდით პრემიერ-მინისტრს, რომელიც ძალიან დიდი ენთუზიაზმით არის სავსე. როცა ხელმძღვანელობა მონდომებულია, ეს ორგანიზაციის სხვა წევრებსაც ედება. თქვენი რაგბის კავშირი ძალიან კარგადაა ორგანიზებული. იქ ძალიან ჭკვიანი ადამიანები მუშაობენ.

ძნელი სათქმელია, როდის მოხდება ეს, მაგრამ ქართული რაგბის წინსვლა, სპორტული წარმატებები და ამ ფონზე მსოფლიო რაგბის ხელმძღვანელი პირების საქართველოში ვიზიტი ბორჯღალოსნებისთვის მეტი მაღალი დონის თამაშების წინაპირობა უნდა გახდეს, მით უმეტეს, რომ სერ ბილ ბიმონტი ჩვენი გუნდისგან მეტ წარმატებას ელის.

– ჩვენი ამოცანაა, დავეხმაროთ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ამბიცია და რომლებიც რესურსს არ იშურებენ რაგბის განვითარებისთვის. ჩვენ უნდა ვიპოვოთ საუკეთესო გზები ამის გასაკეთებლად და სწორედ ამის პირობა მივეცით ქართულ რაგბს. გააგრძელეთ იმის კეთება, რასაც ახლა აკეთებთ. ქართული გუნდების წარმატებას შემდეგი წლების განმავლობაში ველი.

ქართული რაგბის პერსპექტივები

ქართული რაგბის პერსპექტივაზე უფრო თამამად საუბრობს მსოფლიო რაგბის აღმასრულებელი დირექტორი ალან გილპინი. მისი თქმით, რაგბის გლობალიზაციის კუთხით, რაც ქართული რაგბის შემდგომ წინსვლაზეც დადებითად აისახება, სასიამოვნო სიახლეებია.

ალან გილპინი:

– ქართულ რაგბიში ძალიან კარგი ამბები ხდება და, რაც უფრო მეტად განვითარდება ეროვნული ნაკრები, რაც უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, რაც უფრო კარგ შედეგებს აჩვენებს „შავი ლომი“, ქართული რაგბის წინაშე მით უფრო მეტი შესაძლებლობა გაჩნდება.

რაგბის გლობალიზაციის კუთხით დიდი სამუშაო ტარდება და ძალიან კარგი მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომელიც იმაზე უფრო იმედისმომცემია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ყველას ესმის, რომ წარმატებისთვის აუცილებელია ერთად დგომა და მუშაობა. იმგვარი შეჯიბრების არსებობა, რომელში მონაწილეობაც მხოლოდ რამდენიმე გუნდს შეუძლია, არ იძლევა რაგბის იმგვარად განვითარების საშუალებას, როგორც ამას სპორტის ეს სახეობა იმსახურებს. ჩვენი პასუხისმგებლობა, როგორც საერთაშორისო მმართველი ორგანოსი, გახლავთ იმ ერების მხარდაჭერა, რომლებსაც არ ეძლევათ ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ჩვენ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა საქართველოს ნაკრებმა ითამაშოს უმაღლესი დონის გუნდების წინააღმდეგ.

ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობთ. პირველი დონის ტურნირებში ჩართვა ადვილი არაა, რადგან არსებობს რთული კომერციული და სამაუწყებლო შეთანხმებები, სტრუქტურები, რომელთა შეცვლა იოლი არაა, თუმცა ქართული რაგბისთვის სხვა შესაძლებლობებიც არსებობს, როგორც „შავი ლომისთვის“, ისე ეროვნული ნაკრებისთვის და ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაშიც მსოფლიო რაგბი საქართველოს დაეხმარება, რაგბის კომერციალიზაციაა. მსოფლიო რაგბი საქართველოს მხარდაჭერას ამ მხრივაც ჰპირდება:

– ძალიან კარგია, რომ გყავთ მონდომებული პარტნიორი მთავრობის სახით, რომელიც ქართულ რაგბიში დიდ ინვესტიციებს ახორციელებს; ესმის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სპორტის ამ სახეობას განათლების, ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარების საქმეში; მსოფლიო რაგბის გამოცდილება აჩვენებს, რომ სპორტის განვითარებას თან მოჰყვება ინვესტიციები. შესაბამისად, თუ ქართულ რაგბის ექნება ძლიერი სტრუქტურა და მაღალი კონკურენციის პირობები და, თუ ეროვნული ნაკრები განაგრძობს ახალი სიმაღლეების დაპყრობას, კერძო ინვესტიციები აუცილებლად გამოჩნდება.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ვხედავთ, რომ რაგბი ვითარდება, იზიდავს გულშემატკივარს და კომერციალიზაციას განიცდის მაშინ, როცა რაგბი გავრცელებულია მთელ ქვეყანაში და არა მხოლოდ მის ზოგიერთ ნაწილში. შესაბამისად, რეგიონების მოცვა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული რაგბის წარმატებისთვის და ამ კუთხით საქართველოს რაგბის კავშირი ძალიან კარგად მუშაობს.

ქართულ რაგბისა და მის ხელმძღვანელობას დახმარების პირობა მივეცით. ჩვენი საქმეა, საქართველოს ნაკრებისთვის მოვიძიოთ უკეთესი შეჯიბრებები, რათა მან განაგრძოს წინსვლა. ამის პარალელურად, ჩვენ უნდა დავიხარჯოთ, რათა გავაუმჯობესოთ ქართული რაგბის კომერციული მდგომარეობა. ვფიქრობ, რომ სწორედ აქ შეგვიძლია ყველაზე ღირებული დახმარების გაწევა.

მეტი მუშაობით უკეთესი შედეგისკენ

მსოფლიო რაგბიდან მიღებული დადებითი შეფასებების მიუხედავად, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ ქართულ რაგბის უკეთესი შედეგების მისაღწევად მეტი მუშაობა სჭირდება.

იოსებ ტყემალაძე:

– ბოლო წელიწად-ნახევარში უამრავი რეფორმა გავატარეთ და მსოფლიო რაგბისგან ჩვენი შრომის დაფასება, ასეთი შეფასებების მოსმენა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი. ეს ძირითადად სამუშაო კულტურის ამაღლებას ეხება. მე ვისურვებდი, რომ მომავალი არჩევნებისთვის რაგბის კავშირის გამგეობაში უფრო მეტი კლუბი იყოს წარმოდგენილი. ჩვენ არ ვიღებთ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და მნიშვნელოვანია ამ პროცესში ბევრი სუბიექტი ჩაერთოს, რათა კიდევ უფრო ავამაღლოთ ხარისხი. მსოფლიო რაგბისთან შეთანხმებით ჩამოვიყვანეთ გამოცდილი განვითარების დირექტორი, მიმდინარეობს მაღალი მიღწევების მენეჯერის კანდიდატის შერჩევა. ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ გრძელვადიან გეგმაზე, სადაც გაწერილი იქნება, რა შედეგებს უნდა მივაღწიოთ.

ცა და დედამიწაა განსხვავება, რა იყო მანამდე და რა არის ახლა. გვაქვს ბაზები და ეს ნაკრების შედეგებზეც აისახა. ჯამში კი ყველაფერი ეკონომიკაში გადადის და ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს. ბათუმში იტალიასთან თამაშზე უამრავი სტუმარი იყო ჩამოსული. საქართველოში გუნდები ჩამოდიან და შეკრებებს გადიან. სწორედ ამ საქმეს ემსახურება მთავრობისგან მხარდაჭერილი 100 სარაგბო მოედნის პროექტი, ასევე – სასკოლო რაგბის პროექტი, რომელიც რაგბიში ჩართული ადამიანების რაოდენობას 2-3-ჯერ გაზრდის. ასევე მეტი მხარდაჭერა და ინტერესია საჭირო ბიზნესის მხრიდან და არა მხოლოდ ფინანსური, არამედ გამოცდილების კუთხითაც. მოვუწოდებ და ვთხოვ ბიზნესსექტორს, ბიჭებს მხარში დაუდგნენ. ისინი ყოველდღიურად შრომობენ, ოფლს ღვრიან, რათა ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვან. ასევე ვთხოვ ქომაგს, რომ ყველა დონის თამაშებზე იარონ. არის რაღაც, რაც სცდება პირადულს და ეროვნულ საქმეს წარმოადგენს და ქართულ რაგბიზე მეტი ეროვნული რა უნდა იყოს.

მთლიანობაში, მსოფლიო რაგბის შეფასება არის დასტური იმისა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ამ სამყაროში იდეალური არაფერია და, თუ სადმე რამე ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვინდა, მანდაც ყველა ერთად დავდგეთ და ერთიანად გამოვასწოროთ სიტუაცია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფედერაციები

7 თებერვალი

ფეხბურთი

მსოფლიოს საჯღუბო ჩემპიონატი

ფლამენგო-ალ ჰილალი 2:3

იტალია. სერია ა

სალერნიტანა-იუვენტუსი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	21	18	2	1	51-15	56
2.ინტერი	21	14	1	6	41-26	43
3.რომა	21	12	4	5	28-18	40
4.ლაციო	21	11	6	4	37-17	39
5.ატალანტა	21	11	5	5	39-24	38
6.მილანი	21	11	5	5	37-30	38
7.ტორინო	21	8	6	7	22-22	30
8.უდინეზე	21	7	8	6	28-23	29
9.ბოლონია	21	8	5	8	28-31	29
10.იუვენტუსი	21	12	5	4	33-17	26
11.მონცა	21	7	5	9	27-30	26
12.ემპოლი	21	6	8	7	19-26	26
13.ფიორენტინა	21	6	6	9	23-28	24
14.სასუოლო	21	6	5	10	24-31	23
15.ლეჩე	21	5	8	8	21-24	23
16.სალერნიტანა	21	5	6	10	25-41	21
17.სპეცია	21	4	6	11	17-35	18
18.ვერონა	21	3	5	13	19-33	14
19.სამპდორია	21	2	4	15	10-36	10
20.კრემონეზე	21	0	8	13	15-37	8

შენიშვნა:

იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

ისტორიული მომენტი — „მეფე“ მეფე გახდა

ლოს ანჯელეს ლეიკერსი საკუთარ არენაზე ოკლაჰომა სითი თანდერს მასპინძლობს... მესამე მეოთხედის დასრულებამდე 10,9 წამია დარჩენილი... ლებრონ ჯეიმსმა ბურთი საჯარიმო ხაზთან ახლოს მიიღო, მცველი ჩვეული მოძრაობით ჩამოიშორა, ჰაერში აიწია... დარბაზში ყველას ტელეფონი აქვს მომარჯვებული და იღებს... ლებრონის ნასროლი ბურთი კალათში ეშვება და 19.000 ადამიანის თვალწინ ნბა-ს ახალი რეკორდი იბადება...

„მეფემ“ ქულებით თვით ქარიმ აბდულ-ჯაბარს (38.387) გადაასწრო და საკუთარი სახელი ნბა-ს ისტორიაში სამუდამოდ ჩაწერა.



მოიხსნა რეკორდი, რომელიც 39 წლის ჯეიმსის დაბადებამდე 7 თვით ადრე დამყარდა;

მატჩზე დასასწრები ბილეთის მინიმალური ფასი 92.000 დოლარი იყო. ამის მიუხედავად, დარბაზი ბოლომდე შეივსო;

ისტორიული მომენტი თითქმის მილიარდამდე ტელემაყურებელმა იხილა;

ახალი რეკორდის შემდეგ მატჩი რამდენიმე წუთით შეჩერდა. ჯეიმსს ჯერ ოჯახის წევრებმა მიულოცეს, შემდეგ – თანაგუნდელებმა და მეტოქეებმა, ბოლოს მოედანზე თავად ჯაბარი გამოვიდა, ლებრონს წარმატება პირადად მიულოცა და ბურთი, რომელიც სარეკორდო ქულის მომტანი გახდა, გადასცა.

„მეფემ“ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა და თამაშიც განახლდა, რომელიც მისმა გუნდმა 130:133 წააგო.

ლებრონ ჯეიმსმა ქულების ეს რაოდენობა 3 სხვადასხვა გუნდში მოაგროვა: კლივლენდ კავალიერსი; მაიამი ჰითი; ისევ კლივლენდი; ლოს ანჯელეს ლეიკერსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა რეკორდის მფლობელი აბდულ-ჯაბარიც რეკორდსმენი ლეიკერსის მაისურით გახდა.

20-წლიან კარიერაში ლებრონი ნბა-ს 4-გზის ჩემპიონია; ამდენჯერვე აქვს მოპოვებული რეგულარული სეზონისა და ფინალების საუკეთესო მოთამაშის ტიტული; ნათამაშები აქვს 19 „ოლ სტარი“ და სამჯერ გახდა საუკეთესო მოთამაშე; 13-ჯერ მოხვდა სეზონის საუკეთესო ხუთეულში; 2-გზის ოლიმპიური ჩემპიონი და ერთხელაც ბრინჯაოს მედალოსანი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ნავსადგური, ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. ქართული მონასტერი თურქეთის ტერიტორიაზე; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 13. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 15. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. მღრღნელი ჭია-მატლის საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. მანძილის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში.

თარაზულად: 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სარეკლამო ლოზუნგი; 9. პროდუქციაზე დაკრული სასაქონლო ნიშანი; 10. ლაპარაკში, ქცევაში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 14. ანგორული თხის მატყლი; 17. ვინმეს სახელის გასატეხი ცნობების, ჭორების გამოქვეყნება პრესაში; 20. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 21. ფულის ერთეული უკრაინაში; 22. თამაზ მელიავას კინოკომედია; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თრუსო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ვანდომი; 9. შინხუა; 13. დიჯეი; 17. საკი; 18. რკო.

თარაზულად: 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. გერნიკა; 11. ამანი; 12. ბოდრუმი; 14. ბელუჩი; 15. კრიკინა; 16. ტესტი; 19. იბერია; 20. ლიბრეტო; 21. რწყილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტრიესტი; 2. სამაია; 3. კატეხიზმო; 4. კამენა; 5. კორექცია; 7. მასა; 11. ტანკერი; 13. პაროდია; 15. ყანწი; 16. ბზიფი; 18. ნარმა; 19. ლისტი.

თარაზულად: 6. რეიმსი; 8. ვაჩნაძე; 9. გომბორი; 10. საფანტი; 12. ზაქსი; 14. ვადუცი; 17. მირანგულა; 20. აგევზია; 21. რწყილი; 22. მოსტრა; 23. პირამიდა.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

9 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6558	ევრო — 2.8537
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2106	100 რუსული რუბლი — 3.7055

ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისათვის



ვიქტორ ოსიმენის ყიდვა ინგლისურ გრანდებს სურთ

ნაპოლის ფორვარდ ვიქტორ ოსიმენს წელს ძალიან კარგი სეზონი აქვს და მის ანგარიშზე უკვე 17 გატანილი გოლია. ბუნებრივია, მისი ასეთი თამაში არ გამორჩენიათ ინგლისური ფეხბურთის გრანდებს და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოსიმენის ყიდვა ჩელსისა და მანჩესტერ იუნაიტედს სურთ. მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, ამ ტრანსფერში 120 მილიონი გადაიხადოს.

მარკუს რეშფორდი: „საუკეთესო ფორმაში ვარ“

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა განაცხადა, რომ ის ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია და შესაძლოა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო უკეთესი ფეხბურთი აჩვენოს, რადგან რეშფორდს დიდი მოტივაცია აქვს: „მინდა, გულშემატკივარს ვაჩვენო, თუ რა შემიძლია და ვგრძნობ, რომ წელს ჩემი დროა. ვარჯიშებზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები“.

გიორგი მამარდაშვილმა შესაძლოა კარიერა ინგლისში გააგრძელოს

ვალენსია ბოლო პერიოდში ცუდად გამოიყურება და გუნდი უკვე გასავარდნ ზონას მიუახლოვდა. მას ვერაფრით ეხმარება გიორგი მამარდაშვილი, რომელმაც რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ დაცვამ მხარი ვერ აუბა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მამარდაშვილის შეძენით ინგლისური კლუბები არიან დაინტერესებული და მომავალ წელს ის შესაძლოა ინგლისში ვიხილოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა სამუშაო საათებში მცირე ხნით დასვენება გადაწყვიტა და გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის 44 წლის მკვიდრი ქალი, ჯამილა მაკასკილი, მას შემდეგ გამდიდრდა, რაც სამუშაო საათებში ლატარიის გათამაშებაში მონაწილეობა გადაწყვიტა.

ქალმა მუშაობის დროს მცირე ხნით დასვენება მოისურვა. მან მცირე შესვენება აიღო, რომლის დროსაც მობილური დანართით ლატარიის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

მაკასკილმა სულ ორჯერ ითამაშა, როდესაც მის ტელეფონზე მოულოდნელად მოგების თაობაზე შეტყობინება მივიდა.

– დავინახე მოგებული თანხა 100 ათასი დოლარი და ეს ყოველივე ვერაფრით დავიჯერე. ეს ყველაზე მსხვილი მოგებაა მათ შორის, რომელიც კი ოდესმე მიმიღია და ეს შთამბეჭდავი შეგრძნებაა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ქალმა.

ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხით სახლის იპოთეკის გასტუმრებასა და გადასახადების დაფარვას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 თებერვლისათვის

ვერძი – ნურავის გააკრიტიკებთ. მხოლოდ თქვენი საქმე აკეთეთ დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით. ** კურო** – შესაფერისი დღეა მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – გეგმების შეცვლა მოგიწევთ. თავს დამატებითი მოვალეობები იჩენს. **კირჩხიბი** – შრომისუნარიანობა გეზრდებათ. შედეგიც არ დააყოვნებს. სიურპრიზების დღეა. **ლომი** – ხელმძღვანელ პირებთან მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. თქვენი გეგმების შესახებ ნურავის ნურაფერს ეტყვით. **ქალწული** – ამბიციურობას კარგი არაფერი მოჰყვება. თავმდაბლად იმუშავეთ. დაიცავით მორალური პრინციპები. **სასწორი** – პირადი საქმეები დროებით გვერდზე გადადეთ და მეგობრებს დაეხმარეთ. ასე თავს უკეთესად იგრძნობთ. **ღრიანკალი** – ნათესავებისაგან აგრესიას გრძნობთ. ყველანაირად გაერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა და მოლაპარაკება დღის მეორე ნახევრისთვის გადადეთ. თქვენი მოვალეობები იზრდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, პარტნიორებთან ურთიერთობაში კონსენსუსს მიაღწევთ. **მერწყული** – ეცადეთ, დღეს მხოლოდ სულიერ სრულყოფაზე იზრუნოთ. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **თევზები** – ნუ იქნებით უმადური. დააფასეთ ადამიანი, რომელიც თქვენზე ზრუნავს. ემოციები მოთოკეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

– რატომ არ აიყვანეთ ადვოკატი?

– ყველა ადვოკატმა უარი თქვა ჩემ საქმეზე, როდესაც გაიგეს, რომ ის ხუთი მილიონი ნამდვილად არ ამიღია.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი, შენს ქვევით რომ პროფესორი ცხოვრობს, გეი ყოფილა?

– მართლა?! რას არ გაიგებ კაცი! რამდენი წელია მასთან დავდივარ და პროფესორი თუ იყო, არ ვიცოდი.

●●●

ახალი მინისტრი მოვალეობის შესრულებას შემდეგი სიტყვებით შეუდგა:

– მე თქვენ განახებთ, როგორ უნდა ქრთამის აღება!

●●●

ახლობლები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– პაპაჩემი 90 წლისაა, მაგრამ ყოველ დილით, ზამთარშიც და ზაფხულშიც, ტრუსიკიანი დარბის, შემდეგ კი თავზე ორ ტაშტ ცივ წყალს ივლებს.

– ვაა, რა მაგარია.

– მაგარი კი არა, მე და ბებიაჩემი დავიღალეთ მისი მკურნალობით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო სურგულაძე საქველმოქმედო საღამოს გამართავს

ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე და მის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ 20 თებერვალს საქველმოქმედო საღამოს გამართავენ.

„მსოფლიო ვარსკვლავები ბავშვებისთვის“ – ასე ეწოდება რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში დაგეგმილ კონცერტს. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ვარსკვლავები: სპეციალური სტუმარი სუმი ჯო – ოსკარის ნომინანტი სოპრანო, გია გაგნიძე – ბარიტონი, ლადო ათანელი – ბარიტონი, ნინო სურგულაძე – მეცოსოპრანო, ყოვლად წმიდა სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდი მაესტრო სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით და გორის ბავშვთა გუნდი, ასევე – მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი და სპეციალური სტუმარი, მაესტრო ჯუზეპე საბატინი, თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი.

საქველმოქმედო საღამო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 90 წლის იუბილეს ეძღვნება.

დემნამ კოსტიუმები მონოსპექტაკლისთვის შექმნა

ქართველი დიზაინერი დემნა დიდი ხანია გასცდა მოდის სამყაროს და მისი ნამუშევრები უკვე ყველგანაა – თეატრში, კინოში, შოუბიზნესში.

დემნას კოსტიუმები ამჯერად პარიზის თეატრში რენატა ლიტვინოვას მონოსპექტაკლში იქნა გამოყენებული.

როგორც დიზაინერი ამბობს, სიახლეები მისთვის უმთავრესია, რადგან სიახლის გარეშე ნებისმიერი შემოქმედის განვითარება წარმოუდგენელია.

პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში ცისფერყანწელთა ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, პოეტ პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა.

მისი შთამომავლების ინიციატივით შემოქმედის სახლ-მუზეუმში მაქსიმალურად არის შენარჩუნებული პირვანდელი სახე.

განახლებულ სახლ-მუზეუმში წარმოდგენილია პოეტის უნიკალური არქივი – ფოტოები, ხელნაწერები, წერილები. შეძენილ იქნა იმდროინდელი ავეჯი, მოხდა ოჯახის მიერ გადაცემული ავეჯის რესტავრაცია, მოეწყო ინსტალაციები, შეიქმნა სრულიად ახალი სამუზეუმო სივრცე. ოჯახმა მამაპაპეული სახლი გადასცა სახელმწიფოს, რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ არ იყო სამუზეუმო გამოფენა. ახლა კი სივრცეს სამუზეუმო დატვირთვა აქვს და პაოლო იაშვილის უნიკალური ნივთების მონახულება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

პოეტის სახლ-მუზეუმის გახსნა პაოლო იაშვილის 130 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ჯემალ ღაღანიძე უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს

89 წლის ასაკში გარდაცვლილი მსახიობი ჯემალ ღაღანიძე მშობლიური რუსთაველის თეატრიდან გამოასვენეს და უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს.

მსახიობთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ მისი კოლეგები, მეგობრები, რიგითი მაყურებლები, მთავრობის წევრები. სამოქალაქო პანაშვიდი რუსთაველის ეროვნულ თეატრში გაიმართა.

ჯემალ ღაღანიძე საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

გოჩა კაპანაძე, რეჟისორი, მსახიობი:

– ბატონი ჯემალ ღაღანიძის წასვლით რუსთაველის ეროვნული თეატრის ოქროს ხანა დასრულდა, მან ოქროს ეპოქის კარი დახურა. ბოლო მოჰიკანი ბრძანდებოდა ბატონი ჯემალი და მისი გარდაცვალება ძალიან დიდი დანაკლისია არა მარტო რუსთაველის ეროვნული თეატრისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი:

– ჯამბაზის გარდაცვალება! ზოგი ამბობს, ეპოქა დამთავრდაო, ზოგი ამბობს, უკანასკნელი მოჰიკანი წავიდაო. ზოგი რას და ზოგი რას, თუმცა ყველა ვთანხმდებით იმაში, რომ წავიდა ჩვენგან უნიკალური, ელვარე ნიჭიერების არტისტი, რომელიც არც არავის ჰგავდა და არც არავის ბაძავდა. დიდხანს იცოცხლა – აპრილში 90 წლის შესრულდებოდა. ბევრი იშრომა – როგორია, 67 წელი უერთგულო თეატრს, მის მეორე სახლს – რუსთაველის ეროვნულ თეატრს. როგორია, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზაქარიაძის, ეროსი მანჯგალაძის, რამაზ ჩხიკვაძის, გეგეჭკორების, ედიშერ მაღალაშვილის, საღარაძეების, იპოლიტე ხვიჩიას, კოტე მახარაძის, კახი კავსაძისა და მრავალ სხვა წარჩინებულ და ზენიჭიერ არტისტთა თანავარსკვლავედში საკუთარი, ყველასგან განსხვავებული და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრო?! როგორია, მსოფლიო მნიშვნელობის მაესტროს რობერტ სტურუას ათქმევინო, ჩემი ამულეტი დავკარგეო?

თეატრი როცა შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში, ძალიან პატარა ვიყავი და ერთ-ერთი პირველი სპექტაკლიც, რომელიც ვნახე, რობერტ სტურუას „ხანუმა“ იყო, შესანიშნავი არტისტული თანავარსკვლავედით. როცა უკითხავთ ჩემთვის, მოგეწონაო? ასე მითქვამს – ბევრი იცინეს ადამიანებმა, იმხიარულეს, მე კი, აი, სცენა რომ ტრიალებდა, ის გოგო (ეტყობა, სოფიკო ჭიაურელი) რომ ცეკვავდა და მიკიჩა ძია დარბოდა გაცეცხლებული, ის მომეწონა-მეთქი. ერთხელ ბატონ ჯემალს ვუამბე ამის შესახებ და დიდი მოკრძალებითა და ერთგვარი დამორცხვებით მითხრა – რას ამბობ, შვილო, მე რა, იქ კორიფეები თამაშობდნენო. თავმდაბლობა და საკუთარი საქმის უპირობო სიყვარული იყო ის ორი ძირითადი მახასიათებელი, რომლებითაც გამოარჩევდით კაცს, რომელმაც, რამდენიმე როლს თუ არ ჩავთვლით, ეპიზოდური როლების ვირტუოზული შესრულებით დაამახსოვრა თავი ქართველ მაყურებელს. რომ გადახედოთ დიდ თეატრმცოდნეთა ძველ წერილებს, ჯემალ ღაღანიძის გვარის გასწვრივ ბევრ აღმატებულ შეფასებას წაიკითხავთ სპექტაკლებში „ბახტრიონი“, „მეტეხის ჩრდილში“, „ქუთათურები“, „სეილემის პროცესი“, „გვადი ბიგვა“... უკვე მე რასაც შევესწარი, წარმოუდგენელია მის გარეშე რობერტ სტურუას საეტაპო სპექტაკლები – „მეფე ლირიც“ კი, სადაც სულ ათი წუთი იდგა სცენაზე.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხვოხდი ↘



შვეულად: 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. გადამყიდველი, სპეკულანტი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდიზმის მიხედვით; 9. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 13. ფრანგი მწერლის სტენდალის ნამდვილი გვარი; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 18. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

თარაზულად: 1. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 3. მთვარიანი ღამე; 8. საბადოდან ტორფის ამომღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შედეგად წარმოშობილი შთამომავლობა; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა